ლელო

№ 46
(11 298)

18 – 21 ივნისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გიორგი დემეტრაძე ბომბარდირთა შორისაა

ბომბარდირთა ასეთი ცხარე ბრძოლა ჯერ არ ახსოვს რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატს. ვლადიკავკაზის „ალანიას“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრაში მასპინძელ გიორგი დემეტრაძის ორმა ბურთმა და მოსკოველ ო. ტერიოხინის გოლმა უფრო დაძაბა ვითარება. ახლა ამ დავაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ პირველ ადგილზე მყოფსა და მომდევნო ოთხეულს ერთი ბურთი აშორებთ. 7 გოლით ლიდერობს სპარტაკელი ა. ტიხონოვი, რომელსაც 6-6 გატანილი ბურთით კვალში მისდევენ გ. დემეტრაძე, ო. ვერეტეინიკოვი („როტორი“), ო. ტერიოხინი („დინამო“, ს. სემაკი (ცსკა).

თუ ქართველმა ფორვარდმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, იგი პირველი ლეგიონერი იქნება, რომელიც რუსეთის ბომბარდირი გახდება. სხვათა შორის, გიორგიმ რუსეთის ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირის გვირგვინი ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში მოირგო, როცა 14 გოლი გაიტანა, მაგრამ ეს მაჩვენებელი ლეგიონერთა ნომინაციას განეკუთვნებოდა. გ. დემეტრაძემ სერიოზულად გადაწყვიტა გახდეს რუსეთის აბსოლუტური ბომბარდირი, რადგან ერთ-ერთ ინტერვიუში უთქვამს:

– სეზონის კვირაძალზე განვაცხადე, რომ შევეცდები ვიბრძოლო საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისათვის. ამ სიტყვებს უკან არ წავიღებ, გადაწყვეტილებაზე არ ავიღებ ხელს და შევეცდები საქმით დავამტკიცო ეს.

მძლეოსნობა • ევროპის თასი

საქართველოს მძლეოსანთა ახალი გაბრწყინების ხანა შეიძლება ისრაელიდან დაიწყოს

სათაურში გამოტანილი ამ იმედის საფუძველს იძლევა თელ-ავივში გამართული ევროპის თასის გათამაშება II ლიგაში მოასპარეზე მძლეოსან ქალთა გუნდებისათვის. ჯერ ის ვთქვათ, რომ საქართველომ პირველად გაგზავნა 10-წევრიანი გუნდი ამ დონის ასპარეზობაზე, რომელიც იააფის ეგიდით ტარდება. თასის გათამაშებაში ჩვენების მონაწილეობა ალბათ კიდევ კარგა ხანს გადაიდებოდა, რომ იააფ-ს კვლავ არ გამოეღო ხელი და ამ საქმეში მსოფლიოს მძლეოსნობის ხელმძღვანელებთან ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივანს, ცნობილ მძლეოსანს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს მაია აზარაშვილს არ გაეწია შუამავლობა.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 8 ქვეყნის გუნდი. თითოეულის მთავარი ამოცანა იყო 1 ლიგაში გადასვლის საგზურის მოპოვება, რის უფლებაც ეძლეოდა მხოლოდ გამარჯვებულს. შარშან პორტუგალიელებს დაუტოვებიათ მაღალი ლიგა. ახლა მათ ყველაფერი იყონეს და კვლავ დაუბრუნდნენ უძლიერესთა რიგებს.

რაც შეეხება ჩვენებს. უდავოდ მისასალმებელია, რომ მათ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ერთი გამარჯვებულიც გვყავს — შუბის ტყორცნაში პირველობა არავის დაუთმო ცნობილი მწვრთნელის ვასილ შმაკოვის შეგირდმა მაკა ობოლაშვილმა, რომლის ნატყორცნმა შუბმა 51,49 მეტრის ნიშნულამდე იფრინა. მანვე V ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში — 13,62. მაკა ობოლაშვილი გარდაბნელთა სახელით ასპარეზობს. იგი სამი წელი აღარ გაკარებია მძლეოსნობას ტრავმის შემდეგ და მით უფრო გასახარია დაბრუნების შემდეგ პირველსავე შეჯიბრებაში ასეთი წარმატება. მეორე შედეგით გაირბინა 100-მეტრიანი დისტანცია თბილისელმა თამარ შანიძემ — 11,81, იგი ასევე მეორე იყო 200 მ-ზე რბენაში — 23,93. სამაღლეზე ხტომაში VI ადგილზე გავიდა ასევე თბილისელი ია დარახველიძე — 170 სმ. სიგრძეზე ხტომაში კი იგი VIII ადგილს დასჯერდა — 514 სმ.

აღსანიშნავია, რომ გუნდის ინტერესების დასაცავად თვით მაია აზარაშვილიც გამოვიდა სტარტზე 4X100 მ-ზე ესტაფეტაში (იულია დუბინა, ნინო ბაგაშვილი, თამარ შანიძე. მაია აზარაშვილი). ჩვენები ამ პროგრამაში IV ადგილზე გავიდნენ — 47,21. რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, არასრული შემადგენლობით საქართველოს წარგზავნილები VII ადგილზე აღმოჩნდნენ.

— მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია და ჩვენიც, კმაყოფილია ამ შედეგებით. ამიერიდან მეტ მხარდაჭერას მოველით იააფი-დან, ჩვენს მწვრთნელებს და სპორტსმენებსაც მიეცათ იმედი და სტიმული — თქვა საქართველოს ფედერაციის წარმომადგენელმა ბაგრატ მექვაბიშვილმა, რომელიც გუნდს ახლდა ისრაელში.

თ. თომაშვილი

შვედები ჩემპიონები

ეგვიპტეში დამთავრდა მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა შორის. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ჩეხეთის ნაკრებები. შეხვედრა მეტად შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა შვედების გამარჯვებით, ანგარიშით 25-24.

ნილისყრა

ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ჯგუფური ტურნირიდან გაღწეულ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ნამდვილად ბედი ჰქონია. კაიროში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინა დღეს გაიმართა წილისყრა ჯგუფური ტურნირიდან გასულ და იმ 9 ქვეყნის ნაკრები გუნდებისათვის, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ***ჩვენებს ფორტუნამ გაუღიმა და ყველაზე მრისხანე მეტოქეთაგან შედარებით სასურველი დანიის ნაკრები*** არგუნა. დანარჩენები ასე დაწყვილდნენ: თურქეთი — რუსეთი, ავსტრია — ესპანეთი, იტალია — ნორვეგია, ისლანდია — მაკედონია, უკრაინა — ბელარუსი, პორტუგალია — იუგოსლავია, სლოვენია — უნგრეთი, პოლონეთი — გერმანია, რუმინეთი — საფრანგეთი. იმის გათვალისწინებით თუ რომელ თარიღზე შეთანხმდებიან მეტოქეები, პირველი შეხვედრები გაიმართება 11 ან 12 სექტემბერს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

თბილისის სპორტის სასახლე
19–20 ივნისი, 1999 წ.
დასაწყისი 11 და 17 საათზე

ქართველები ჩამოქვეითდნენ

გამოქვეყნდა ეროვნული ნაკრები გუნდების ფიფას ახალი რეიტინგი. პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. ბრაზილია, 2. საფრანგეთი, 3. ჩეხეთი, 4. იტალია, 5. გერმანია, 6. ესპანეთი, 7. ხორვატია, 8. არგენტინა, 9. რუმინეთი, 10. ჰოლანდია... საქართველოს ნაკრებმა 59-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ნახევარფინალები

გაგვხავს „აზოტი“ ნავსს?

როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში ერთმანეთს ბოლო წლებში ქართული კალათბურთის ფლაგმანი „ვითა“ და წლეულს, ობიექტურად უფრო ძლიერი — რუსთავის „აზოტი“ შეხვდებიან. ფინალური სტადია სამ მოგებამდე გრძელდება. ახლა კი, ნახევარფინალის ბოლო შეხვედრები მიმოვიხილოთ.

„ვითა“ – სტუ 3-0 73-70 (29-29)

სტუ-ს აცლდა წინა დღის წაგებისგან გულდაწყვეტილი მწვრთნელი თამაზ ოჭრუაშვილი და ლიდერი ნაცვლიშვილი. ამის მიუხედავად, მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს და მეორე ტაიმში, ერთი ხანობა, 8 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ ვითამ ბოლოს იძალა და ტურაშვილი — კოკოლიშვილი — ჩუბინიძის ტრიოს შედეგიანი თამაშით მაინც გაიმარჯვა. ვითა ფინალშია.

აზოტი – თსუ 3-0. 98-84 (44-46)

პირველი ტაიმი რუსთაველებმა დათმეს, მაგრამ გამოცდილი თვალი აღვილად შეამჩნევდა, რომ ისინი აშკარად ძალებს ინახავდნენ. საბოლოოდ ქლენტმა, ჯაფარიძემ და ბაბიაშვილმა ბოლო წუთებში სამქულიანი ტყორცნების შედეგად აზოტს გაამარჯვებინეს. ფინალური სერია ალბათ ძალზე საინტერესო და დაძაბული იქნება, რადგან მეტოქეთა შანსები თანაბარია. დავიჯერებთ, რომ ეს მატჩები 20, 21, 23 ივნისს და თუ საჭირო გახდა, 24, და 26 ივნისს გაიმართება ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში. შეხვედრები დაიწყება 18 საათზე. იმავ დღეებში სტუ და თსუ-ს შეხვედრები გამოავლენს მესამე პრიზიორს. ეს მატჩები 16 საათზე გაიმართება.

ილია ნანოგაშვილი

ბეილი რეკორდსმენი აღარ არის...

კანადელი სპრინტერის დონოვან ბეილის რეკორდი 100 მ. რბენაში ორი წელიწადი და რამდენიმე თვე შემორჩა მსოფლიო მიღწევების ცხრილს და გუშინწინ დაემხო ათენში მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე. ახალი რეკორდსმენია ამერიკელი მაურის გრინი 9,79 წ. ბეილის შედეგი იყო — 9,84. გრინს აჭამდე ორჯერ ჰქონდა განმეორებული ბეილის რეკორდი. გრინი რეკორდსმენია აგრეთვე 60 მ. რბენაში. გრინი, ცხადია, ოცნებობდა რეკორდზე, მაგრამ როგორც თავად გრინის შემდეგ განაცხადა, იმ დღეს არ მოელოდა ასეთ წარმატებას. სამაგიეროდ, ტრინიდადელი ატო ბოლდონი ბევრს ბაქაობდა, რომ ბეილის რეკორდს ის მოხსნიდა. ახლა კი, როცა გრინის შემდეგ მეორე იყო ფინიშთან, ბოლდინმა საბიზნე შეცცალა და დაიქადნა, რომ გრინის რეკორდს დიდხანს არ „აცოცხლებს“.

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე

სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე



1888 წლის 7 სექტემბერს თბილისში, ე.წ. „იტალიის ბაღში“ დანიშნულ კულასა და ესებუას ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა თუ ვინ იყო ღირსი ეტარებინა საქართველოს ფალავნის სახელი, აღსანიშნავია, რომ ამ (რიგით მეხუთე) შეხვედრას ესწრებოდნენ ერის სახელოვანი მამულიშვილები ილია, აკაკი და ვაჟა. ამჯერადაც გამარჯვება ნესტორს ხვდა წილად. ამ შეხვედრას სპეციალური წერილები უძღვნეს გაზეთებმა „თეატრმა“ და „ივერიამ“ აკაკი წერეთელმა დაწერა ლექსი „ჭიდაობა“, სადაც შემდეგნაირად დაგვიხატა ნესტორის გამარჯვება.

ქვეშ დევს,
ფართახლობს გლდანელი,
ცდილობს ზე წამოდგომასა –
ზეიდან მტკავლავს ნესტორი,
თითქოს იღებდეს ზომასა,
თან ეუბნება დაცინვით
კულა ნუდარ სწევ შრომასა.

კულა გლდანელის გულშემატკივრები ვერ შერიგებოდნენ მათი ფალავნის დამარცხებას. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე ერთხელ მაინც ენახათ ესებუა დამარცხებული და აი, 1889 წლის 1 ოქტომბერს მოწინააღმდეგეები ისევ ხვდებიან ერთმანეთს. ეს მათი ოფიციალურ დონეზე, მეექვსე და უკანასკნელი შეხვედრა იყო. ნესტორმა კულას გულშემატკივრების იმედებს ცივი წყალი გადაასხა და კვლავ დაამარცხა გლდანელი.

მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა ფალავნებმა აქტიური სპორტი დატოვეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ მოჭიდავეთა დასი შექმნეს, მოგზაურობდნენ საქართველოში და პოპულარიზაციას უწევდნენ ჭიდაობას და ძალოსნობას.

ცნობილი ფალავანი კულა გლდანელი თავისი დასით ხშირად მართავდა სპორტულ საღამოებს, სადაც ძირითადი და მთავარი ფალავანთა შერკინება იყო. ხშირად ასეთი შეხვედრები საქველმოქმედო მიზნით ეწყობოდა.

მოჭიდავეთა ასპარეზობის წინ, ხალხში იკრიბებოდა ფული, რომელსაც, როგორც ფალავნები, ასევე ჭიდაობის მოწყობის ინიციატორები სწირავდნენ რაიმე კეთილ საქმეს.

ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილი თერგდალეულის კირილე ლორქიფანიძის პირად არქივში დაცული წერილი, რომელიც დათარიღებულია 1897 წლის 23 ნოემბრით. აღნიშნულ წერილს სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი უგზავნის ნოქალაქევის უბნის ინსპექტორს ბესარიონ იოსელიანს, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს ბოქაულად მუშაობდა ნოქალაქევში.

აი, თვით წერილის ტექსტიც:

„ძმაო ბესარიონ!

უმორჩილესად გთხოვ, ან ამაზე წარწერით, ან ცალკე წერილით მაცნო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №42, 43, 44

იხ. მე-3 გვ.

საქართველო
GEORGIA
ოლიმპიური კომიტეტი

სეოკ-ის საიუბილეოდ!

10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

1988–1989 წლები

იმ ღღეებში ისრაელიდან გამოგვწმაურნენ ქართველი ებრაელები, მათ შორის ყოფილი სპორტსმენები და სპეციალისტები. ისინი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, გვიგულეთ თქვენს გვერდითო, გვითვლიდნენ.

ჩვენი სპორტსმენები წარმატებით განაგრძობდნენ გამოსვლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ისინი უკვე ჯერ-ლებად აცხადებდნენ, რომ ქართველები იყვნენ, საქართველოდან. დუმილისა და ეროვნების ხმამაღლა გაცხადების ბარიერი გადალახული იყო. საქართველოს გუნდებს და სპორტსმენებს ზოგიერთი ქვეყნები, საკავშირო ფედერაციის გვერდის ავლით, იწვევდნენ სასპარეზოდ. თუმცა, საკმაო დრო გავა, ვიდრე ჩვენი ეროვნული დროშა აფრიალდება უცხოეთის სპორტულ სარბიელზე. მეხუთე სხდომის წინადღეს, 1989 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს ექიმთა ასოციაციის საშუშაო ჯგუფის სახელით წარმოგვიდგინეს დოკუმენტი სეოკ-ის ერთ-ერთ დამფუძნებლად მათი გამოცხადების თხოვნით. მიმართვას ხელს აწერდნენ გურამ სხირტლაძე, ლია ბეზარაშვილი, გიორგი ლაჭუპიანი და გიორგი წილოსანი.

იმ დღეებში საქართველოს სპორტსაკომის ხელმძღვანელთა მონაწილეობით უკვე ჩამოყალიბდა სპორტული თედიაშვილმა, ვახტანგ ბლაგიძემ, შოთა ხაბარელმა, დავით გობეჯიშვილმა, ვლადიმერ გოგოლაძემ და ვლადიმერ აფციაურმა. დაინიშნა ჩემპიონთა თავშეყრის დღე. მანამდე სეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე დასწრება ინებეს, სადაც სახელოვან ათლეტთა სახელით გამოვიდა რომან რურუა. შემდეგ ყველა ოლიმპიური ჩემპიონი მიესალმა სეოკ-ის შექმნას. რამდენიმე დღეში ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის წესდებაც განიხილეს და ეს ორგანიზაცია ოფიციალურად დააფუძნეს. პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან დავით ციმაკურიძე, ვიცე-პრეზიდენტად — რობერტ შავლაყაძე, პასუხისმგებელ მდივნად — შზია ჯუღელი.

ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა თავიდანვე მუშაობდა საინიციატივო ჯგუფში. მაღალი ზნეობით, განსწავლულობით და ინტელიგენტურობით გამორჩეულმა, ანალიტიკური აზროვნების ამ პიროვნებამ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. მისი რჩევები, განუზერეტა, ლოგიკურობა ძალიან გვეხმარებოდა აღებული გეზის სწორი მიმართულებით წარმართვაში. იგივე ითქმის პროფესორ ავთანდილ ციბაძეზე, ოლიმპიური თემატიკაში უაღრესად ერუდირებულ, ღვაწლმოსილ პიროვნებაზე. ორივე მათგანი შემდეგ დიდხანს იყო სეოკ-ის აღმასკომის წევრი.

დავით კილასონიამ, ნუგზარ უნდილაძის ხელშეწყობა-მხარდაჭერით იმდენი მოახერხა, რომ მორაგბეთა ეროვნული ნაკრები საოცრად სწრაფად ჩამოყალიბა. ცნობილმა მოქანდაკემ, ყოფილმა მორაგბემ გია ჯაფარიძემ ჩვენი ეროვნული დროშის ფერების გამოყენებით საქართველოს რაგბის კავშირის ემბლემა შექმნა. ასე რომ, ნაკრების წევრებს უკვე ჰქონდათ ეროვნული დამღა და პირველად ამ გუნდმა ჭუთაისში ითამაშა საერთაშორისო ტესტ-მატჩი ზიმბაბვეს ნაკრებთან. დათომ იმდენი იღვაწა, რომ ზიმბაბველებს საკავშირო ფედერაციის საგანგებო ნებართვა არ დასჭირვებიათ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსასვლელად.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თამაშს უამრავი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის თბილისიდან. ეს მატჩი ჩვენებმა მოიგეს — 16:3. გაზეთი „ლელო“ წერდა: „ალბათ დადგება დრო, როცა ამ თამაშს გვერდს ვერ აუქცევენ ქართული სპორტის ისტორიკოსები. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან 12 სექტემბერს იშვა არა მარტო მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, არამედ პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, საქართველოს რჩეულთაგან შედგენილი გუნდი ოფიციალურ მატჩში, როგორც ტოლი და სწორი, ისე შეეჯიბრა საკმაოდ ძლიერ მეტოქეს და დაჯაბნა კიდეც... გულშემატკივრები თამაშის დაწყებიდან დამთავრებამდე მხურვალედ ქომაგობდნენ ჩვენს ბიჭებს, მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, თანაც შეძახილს — „ლელო, ლელო, საქართველო! ზშირად დააგუგუნებდნენ ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ამგვარი მოწოდება ფორმითაც და შინაარსითაც რაგბს მშვენივრად მოერგო“.

ლატვიიდან მოვიდა შეტყობინება, რომ 29-31 აგვისტოს ეოკ-ების შექმნით დაინტერესებული საბჭოთა რესპუბლიკების მეორე საკონსულტაციო სხდომა ჩატარდებოდა ვილნიუსში. ამ ინფორმაციამ, როგორც იტყვიან, სულზე მოგვისწრო. მეხუთე სხდომაზე სეოკ-ის დამფუძნებელი ჟრილობის ჩატარების თარიღი უნდა დაგვედგინა, მაგრამ გადაწყდა, რომ ვილნიუსის შეხვედრა გარკვეულ სარგებლობას მოგვიტანდა და დაგეხმარებოდა ჟრილობის უკეთ მომზადებაში.

აქვე უნდა ითქვას კიდევ ერთ სიახლეზე, რომელიც 1989 წლის აგვისტოში იშვა. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა შალვა ფაჩულიამ შემოგვთავაზა გვეფიქრა გამოჩენილ სპორტსმენთა რესპუბლიკური ასოციაციის შექმნაზე, რაც საფუძველს მოუმზადებდა ანალოგიური საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნებას, რომლის შტაბსადგომი თბილისში იქნებოდა. მაშინ ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ, თუმცა ამ წინადადების რეალიზაცია დაგვიანებული არასდროს არის.

ამასობაში სეოკ-ის დაფუძნების საინიციატივო ჯგუფის პარალელურად, უკვე იურისტებთან ერთად, მუშაობას შეუდგა ჟრილობის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი. ზოგჯერ კვირაში 2-3-ჯერ იმართებოდა სხდომები. მოზღვავდა საკითხები, მაგრამ ციტნოტში არასდროს ვყოფილვართ. საკმაოდ იყნენ შემსრულებლები. თითოეული დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დავალებებს. დათქმულ ვადებში, ოპერატიულად გვარდებოდა, რაც იგეგმებოდა. დელეგატებისთვის დაგზავნილი ანკეტების 30 პროცენტი მეორე დღესვე შევსებული დაგვიბრუნდა. ასეთი მაღალი იყო აქტივობა. საორგანიზაციო კომიტეტმა 1989 წლის სექტემბრის ბოლო დეკადის დასაწყისში ჩათვალა, რომ დადგა დრო გვეფიქრა დამფუძნებელი ჟრილობის ჩატარების თარიღზე. სავარაუდოდ ოქტომბრის პირველი ნახევარი დაითქვა...

მარცხნიდან: დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე. 1989 წ.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
(გაგრძელება იქნება)
დასაწყისი იხ. „ლელო“ №№41-45.

გუდაური ლევან პირველის კომპლექსმა დაამშვენა

ესაა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ჯვრის უღელტეხილი“, რომელიც ზამთარსა და ზაფხულში მაღალმთიან კურორტზე დასვენების მსურველებისთვისაა გათვალისწინებული. ორი თანამედროვე კომფორტული დასასვენებელი სახლი გათვალისწინებულია 38 ადგილზე. ყველა პირობაა შექმნილი აქტიური გართობა-დასვენებისათვის, მუშაობს კაფე-სასადილო, ბარი, საუნა, გასართობი თამაშების ობიექტები, დანერგილია საცხენოსნო ტურიზმი.





კომპლექსი გააშენა ცნობილმა ბიზნესმენმა, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ვიცე-პრეზიდენტმა ლევან პირველმა. კომპლექსი უკვე შეუდგა მუშაობას.

საკონტაქტო ტელეფონი: 94-34-46

რა ხდება ქვეყანაზე

● **შარშანდელი** სკანდალი „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგის მასობრივი გამოყენებისთვის, ბევრს თვალწინ აქვს, რის გამოც ის ველოსპორტს ეშვება და საერთოდ აღგზნებად საშუალებებზე გაუთავებელი იერიშების გამო საგზატკეცილო რბოლა, უბრალოდ, შეწყვეტს არსებობას. სპონსორებს, რომლებიც პატრონობას უწევენ მას, პირველ ყოვლისა, მისი პოპულარობა იზიდავს, რომლის დონეც პიროვნებებითა და ვარსკვლავებით განისაზღვრება. ასე რომ, ალბათ არც ერთი ტელეარხი არ უჩვენებს უპირველნომრებო რბოლას და არც ვინმე დახარჯავს ასეთ ასპარეზობაზე ფულს ტყუილად.

მისი გუნდი დამთავრებამდე მოხსნეს ასპარეზობიდან.

მიმომხილველთა აზრით, სათუოა, რომ პანტანის დისკვალიფიკაციით ველოსპორტს ეშველება და საერთოდ აღგზნებად საშუალებებზე გაუთავებელი იერიშების გამო საგზატკეცილო რბოლა, უბრალოდ, შეწყვეტს არსებობას. სპონსორებს, რომლებიც პატრონობას უწევენ მას, პირველ ყოვლისა, მისი პოპულარობა იზიდავს, რომლის დონეც პიროვნებებითა და ვარსკვლავებით განისაზღვრება.

● **ძალთა** ნბა-მ სულ ორწლიანი არსებობის მიუხედავად, ისეთი „ნახტომი“ გააკეთა, რომ მისი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მერმისს, 2000 წელს მოსპარეზე გუნდების რიცხვი 12-დან 16-მდე გაიზრდება. ეს ოთხი ახალი გუნდი შეიქმნება ინდიანაპოლისში, მაიამში, პორტლენდსა და სიეტლში. პირველი ორი შევა აღმოსავლეთ კონფერენციაში, დანარჩენი დასავლეთისაში. ქალთა ნბა-ს ხელმძღვანელებს სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ლიგა შემდგომში კიდევ გაიზარდოს.

ქალთა ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონატი 10 ივნისს დაიწყო.

XXVII ოლიმპიური თამაშები სიდნეიში ახალი ასწლეულის პირველი, თუ XX საუკუნის ბოლო თამაშები?

ამ საუკუნის დასასრულისა და ახლის დაწყების თარიღთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ამტკიცებს, რომ მესამე ათასწლეულის ათვლა იწყება 2000 წლიდან, ზოგი პირიქით, მიიჩნევს რომ ახალი საუკუნე იწყება 20001 წლიდან. არგუმენტად ის მოჰყავს, რომ 2000 წლის წინათ, წლების ათვლა დაიწყო არა 0-დან არამედ, 1-დან. ცნობილია ახალი წელთაღრიცხვის პირველი წელი, ხოლო 0 წელი არც არსებულა და არც არავინ დავობს მისი არსებობის თაობაზე.

მარტივი ლოგიკა ასეთია: 20 უნდა შესრულდეს, რომ ოცად ჩაითვალოს, ე.ი. საუკუნე დასრულდეს. 20-ს რომ 1 დავაკლოთ, არანაირად არ დარჩება ისევ – 20.

«საქართველოს ავიახაზები!»
ზაფხულში მგზავრთა ნაკადის გაზრდასთან დაკავშირებით ეს ავტორიტეტული ავიაკომპანია დამატებით რეისებს გეგმავს სოჭში, მოსკოვში, სალონიკსა და ათენში.

ისინი ცხოვრებაში სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ, ზოგმა პროფესია შეიცვალა, ვაგრამ პირველი სიყვარული, რაც ჩვენს შიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში სწავლის წლებში გაუღვივდათ გულში, არასდროს გაენელებიათ და არც გაუნელდებათ. ერთი თარების თანაკურსელები არც ერთ „ერგებულ თარიღს“ არ გაემგრეებენ, რომ დათქმულ დროს გრანდიოზულად არ შეხვდნენ ერთმანეთს. ასე იყო ამჯერადაც, როცა 1964 წლის კურსდამთავრებულებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი...

REGION'S CUP ● რეგიონთა თასი

ევროპაში შევიჭერით!..

18 წლამდე ასაკის ნაკრების დარად მოყვარულებმაც გაგვახარეს. ჯონი ჯანელიძის ბიჭებმა ევროპაში კარი შეაღეს. ამ შესარჩევ ციკლში ქართველთა მეტოქეები იყვნენ რუსეთის „იუგი“, აზერბაიჯანის „ბაქო“ და თურქეთის „მარმარა“. ქვების მეტი, აბა რა გვეთქმის – მართლაც გვასახელეთ ბიჭებო! ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი აგვისტოში გაიმართება და როგორც ჯონი ჯანელიძემ თქვა, გუნდის ძირითად ბირთვს შეინარჩუნებს, თუმცა, თვალთახედვის არეში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ეყოლება. ასე რომ, ქართველებს კიდევ ერთი ევროპული ვოიაჟი ელით. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს რეგიონულ ნაკრებს. ახლა უკანასკნელი ტურის მატჩები მიმოვიხილოთ.

15.06.99 „შევარდენის“ სტადიონი. 1800 მაყურებელი

„თბილისი“ (საქართველო) – „მარმარა“ (თურქეთი) 0–0.

„თბილისი“: ჩაჩიბაია, გურამ მეტრეველი, ონიანი, მოსიაშვილი, მურადელი, ოდიშარია (ზაკუტაშვილი, 82), გაბიდაური, კაკაბაძე (გიორგი მეტრეველი, 66), ხმალაძე, ტილკავაშვილი, ლ. გვაზავა.

„მარმარა“: ჩელიქი, ორპულუღლუ, არსლანი, ონთურქი, დედე (ბაიარქი, 73), ბასოღლუ (ალამდარი, 51), აკოლი (გურგანი, 84), ასა, თურქაი, სირმალი, ილმაზი.

მსაჯი: ს. ირმანხინი (აზერბაიჯანი).

გააფრთხილეს: ონიანი, არსლანი, აკოლი.

მატჩის 64-ე წუთზე ტილკავაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი.

ქართველები მოგების შემთხვევაში ინაღდებდნენ I ადგილს, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. რატომ? ალბათ მხოლოდ იღბალის გამო, თორემ ერთი გუნდის მეორეზე ასეთი უპირატესობა, კარგა ხანია, არ მინახავს. სახიფათო მომენტები იმდენი შევქმენით, ბარე ხუთ თამაშს რომ ეყოფოდა, მაგრამ გოლი კი არ ჩანდა. და როცა, მეორე ნახევრის შუაწელში ტილკავაშვილმა ძელს მოახვედრა თერთმეტმეტრიანი, მივხვდი, რომ განწირულნი ვიყავით. თურქები, რომლებსაც პირველი ადგილის დასაკავებლად თეორიული შანსიღა ჰქონდათ, ერთთავად დაცვაში იყვნენ, მაგრამ მათი დასჯა ნებისმიერ ქართველ ფეხბურთელს შეეძლო. ამ ფრემ იმედი ჩაუსახა რუსებს და აზერბაიჯანელებს. ვინც გაიმარჯვებდა, სწორედ ის ინაღდებდა I ადგილს. ქართველებს? ჩვენ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიხეირებდით, თუ მათი შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა.

„ოქროს გოლი“...

რუსმა ლუხტმა 33-ე წუთზე წინ გაიყვანა თავისიანები და როდესაც თითქმის ზეიმობდნენ გამარჯვებას, აზერბაიჯანელმა დადაშევმა ქართველებისთვის „ოქროს ბურთი“ გაიტანა. ეს ყველაფერი 90-ე წუთზე მოხდა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების გაწბილებას საზღვარი არა ჰქონდა. მინდორზე მყოფი სამი გუნდიდან კი მხოლოდ ქართველები ზეიმობდნენ. აზერბაიჯანელებმა დიდი საჩუქარი მოგვიძღვნეს. ასეა, მეზობელო კარისაო...

ილია ანანობაშვილი



საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პლეი-ოფი

(გაღასასვლელი მაგჩი)

16.06.99. თბილისი. ბორის პაიჭაძის სახ. სტადიონი. 6000 მაყურებელი.

თსუ (თბილისი) – ღარწყალი (ძველი ანაგა) 3–0 (ძირითადი დრო 0–0)

თსუ: მერქანი, დეკანოსიძე (ადამია. 108), შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ნინუა, მაღრაძე, დ. გოგოლაძე, გონჩაროვი (ბუკია, 118), ზამთარაძე, როსტიაშვილი (მ. მესხი. 76)

ღარწყალი: ნაჭყებია, გულაშვილი, თელიაშვილი, ცომაია, გელაშვილი (მიკუჩაძე. 108), ბარამიძე, გოლეთიანი, გოძიაშვილი, აფციაური (სირაძე. 100), ტოკლიკიშვილი, ჩიგოშვილი.

გოლები. 1-0, 2-0. მესხი (98, 117), 3-0. ადამია (120).

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

გააფრთხილეს: თელიაშვილი, ტოკლიკიშვილი, კობიაშვილი.

ოთარ გაბელიას თსუ კვლავ პირველ ჯგუფშია

ამ შეხვედრას უნდა გაერკვია მოავალი სეზონის I ჯგუფის მეთექვსმეტე მონაწილე. ძველი ანაგელები საკმაოდ გადაიტვირთნენ ბოლო დღეებში. ხუმრობა ხომ არაა, 4 დღის განმავლობაში ორი მომჭანცველი მატჩის (თითო 120-წუთიანი, რაც ფაქტიურად 8 ტაიმს ნიშნავს), შემდეგ ძალების სრულფასოვნად აღდგენა. ოთარ გაბელიას ბიჭებს ეს პლუსი ჰქონდათ, თორემ, როგორც გუნდი — ღარწყალი, ვფიქრობთ არაა ნაკლები. მის რიგებში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელთა სახელებიც გულშემატკივართათვის არახალია. თელიაშვილი, ცომაია, ჩიგოშვილი და გოძიაშვილი კი თსუ-ს ყოფილი მოთამაშეები არიან.

მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო და კარგა ხანს მინდორზე ვითარება არ გამწვავებულა. დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს გვერდითმა მსაჯმა „ღარწყალის“ კარისკენ ისეთი თამაშგარეები გაატარა, რომ თვით თსუ-ს თავდამსხმელებიც კი იბნეოდნენ და ვერ სარგებლობდნენ ამ საჩუქრით. გაცეცხლდნენ ჭიზიყელი გულშემატკივრები, რომლებიც ტრადიციულად ლაზათს მატებდნენ ტრიბუნებს. საერთოდ, პირველი ტაიმი უფრო სტუდენტთა შეტევებით აღინიშნა. როსტიაშვილმა თავით ოდნავ გადააცილა ბურთი ბარიხას, ხოლო გოგოლაძე ფაქტიურად პირისპირ დარჩა ნაჭყებიასთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლო წამს იხსნა თავისიანები. ნინუასაც მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ოდნავ ააცილა ახლო მანძილიდან. „ღარწყალის“ სახიფათო მომენტი კი მხოლოდ გოლეთიანის შორეულ დარტყმას მოჰყვა, როცა მერლანმა კუთხურზე უკუაგდო ბურთი.

მეორე ტაიმში კახელები გააქტიურდნენ. უპირატესობაც მოიპოვეს ცენტრში და ბარამიძის ხელმძღვანელობით ზედიზედ რამდენიმე ხიფათი შექმნეს. წინა მატჩებში მოუსვენარი ტოკლიკიშვილი აშკარად გადაღლილი ჩანდა, თუმცა რამდენიმე ეფექტური გარღვევით მაინც დაგვამახსოვრა თავი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი და აფციაურის ლამაზი კომბინაცია, როცა გოლი თითქმის გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ მსაჯმა მეკარეზე ზემოქმედება დააფიქსირა. ასე გასრულდა ძირითადი დროც.

თანაბარ თამაშში „ღარწყალის“ თავდამსხმელ ჩიგოშვილს შეეძლო პინაკი თავისი გუნდის მხარეს გადაეხარა. მან სისწრაფით ჩამოიტოვა მეტოქის მცველები და პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ სასწაულებრივად აცილა კარს. ეს გახლდათ ყველაზე რეალური მომენტი. ვინ იცის, რა მოხდებოდა, გოლი რომ გასულიყო! მაგრამ, ვერ გაიტან? გაგიტანეს! ორიოდე წუთში თსუ-ს თავდამსხმელმა, შეცვლაზე შემოსულმა მიხეილ მესხმა ზამთარაძის პასი შეიშნოვა და... 1-0. ჭიზიყლები ვა-ბანკზე წავიდნენ და ანზორ გძელიძემ ორი თავდამსხმელი — სირაძე და მიკუჩაძე შეუშვა მინდორზე. ბარამიძეს გაუჩნდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ახლო მანძილიდან ოდნავ უზუსტოდ დაარტყა. ბოლო წუთებში კი სასოწარკვეთილი და ავანტურაზე გადასული „ღარწყალი“ იმავე მესხმა კონტრშეტევაზე დაიჭირა და დუბლი შეასრულა 2-0, ხოლო ასევე შეცვლაზე შესულმა ალანიამ თამაშზე ხელაღებული ატირებული მოთამაშეების კარში მესამე გოლი შეაგდო. 3-0. თსუ I ჯგუფში დარჩა.

ახლა ნამდვილად არ ვიცით, როგორი იქნება „ღარწყალის“ მომავალი. ბევრი რამაა დამოკიდებული გუნდის პრეზიდენტზე — ავთო მანგოშვილზე. მისმა გარჯამ ჭიზიყში ნამდვილი საფეხბურთო ბუმი გამოიწვია. ვისურვებდით ამ ბუმმა დიდხანს, ძალიან დიდხანს გასტანოს.

ილია ანანობაშვილი

ჰოლანდიელი დამრიგებელი საძინაო საკაღრო ჰოლიგიკასაც შეუდგება

იოჰან ბოსკამპი მისი პირველი ქართული საშინაო გამოცდის შემდეგ (ბერძნებთან მატჩი) სამშობლოში გავიდა ზავრა. ამ დღეებში კი თბილისს დაბრუნდა, რათა ხანმოკლე შვებულებიდან დინამოელებს უხმოს და მომავალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგეს. ბუნებრივია, რომ გუნდში ცვლილებები მოხდება. ბოსკამპს თვალში მოუვიდა შემტევი ნახევარმცველი ზაზა ზირაქაშვილი (ბოლოს თამაშობდა „არსენალში“); მცველები კახა სიდამონიძე (ბოლოს გამოდიოდა „გორდაში“) და დავით ჭყვიშვილი (ბოლოს გამოდიოდა ბათუმის „დინამოში“); ფორვარდი ლევან ხომერიკი (ბოლოს თამაშობდა ბათუმის „დინამოში“); გამთამაშებელი დავით მუჯირი (ბოლოს თამაშობდა „ლოკომოტივში“). ამ ფეხბურთელთა თბილისის „დინამოში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. ჩვენს ჰოლანდიელ თავკაცს ის მოთამაშეებიც ჰყავს „შეგულებული“, რომელთაც „დინამოს“ დატოვება და სხვა კლუბის მოძებნა მოუწევთ. მათ ვინაობას კი მოგვიანებით გაცნობებთ.

ფეხბურთი საეგრელოს რეგიონში „ლელოს“ საფეხბურთო მივოლბილველი სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ჯერჯერობით გოგია ზუგდიდიდან ფაქსით გვატყობინებს

„ჩელა“ ჩემპიონია!

დამთავრდა სამეგრელოს რეგიონის 1998-1999 წლების ჩემპიონატი. ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის რაიონის დარჩელის „ჩელას“ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელები ამირან ხუნჯგურუა, ანატოლი ხუბუა), რომელსაც გადაეცა რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის თასი, გუნდმა მოიპოვა საქართველოს ეროვნული XI ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში მონაწილეობის უფლება.

მეორე ადგილი დაიკავა ჩხოროწყუს ლესიჭინის „მერცხალმა“ (მწვრთნელები ავერი სიჭინავა, ლერი ხოფერია). მესამე ადგილზე გავიდა გალის „მზიური“ (მწვრთნელი ენვერ ქარდავა). პირველ, მეორე, მესამე ადგილებზე გასული გუნდები, მათი მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის დიპლომებით.

„მერცხალს“ – სუპერთასი

ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში სამეგრელოს რეგიონის 1998-1999 წლების სუპერმატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ რეგიონის ჩემპიონი დარჩელის „ჩელა“ და ლესიჭინის „მერცხალი“ (თასის მფლობელი). ანგარიშით 2-1 გაიმარჯვეს „მერცხალის“ ფეხბურთელებმა. გამარჯვებულებს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ოთარ ჭითანავამ გადასცა თასი, ხოლო გუნდს, მწვრთნელებს და მოთამაშეებს – დიპლომები. „ჩელას“ გუნდის მწვრთნელები და მოთამაშეები საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

(პირველი გვერდიდან)

ბეთ, თქვენი ნოქალაქევის უბნის ბოქაულობის დროს, როდესაც გლდანელს ჭიდაობა გაუმართავს ძველ სენაკში, მოჭიდავეს, ან ჭიდაობის მოთავეებს გადაუდვიათ რაიმე ფული ჩვენი სკოლისათვის თუ არა? თუ გადაუდვიათ, რამდენი? ეგ ცნობა ჩემთვის საჭიროა და თქვენს მეტი ყველანი უარს ამბობენ; ჩვენ არა ვიცით რა, ბესარიონ იოსელიანი იყო მაშინ ბოქაულად და დამსწრედ და იმას ეცოდინებაო, ასე ამბობენ დავშთები მარად შენი პატივისმცემელი სენაკის სააზნაური სკოლის ინსპექტორი ს.გ. ყიფიანი“.

საპასუხო წერილში ს.გ. ყიფიანს ბ. იოსელიანი წერს:

„დიდად პატივცემულო სამსონ გიორგის-ძევ!

ჩემი ნოქალაქევის უბნის ბოქაულობის დროს ძველ სენაკში გლდანელს დანიშნული ჰქონდა ჭიდაობა, მაგრამ რადგან ჭიდაობის დაწყების წინ უსიამოვნება ასტყდა ხალხთა შორის, ესე არშემდგარა წესიერად: ამისათვის მოგროვილი ფული, როგორც მახსოვს, ზოგიერთებმა უკანვე წაიღეს და დანარჩენი მოჭიდავეებს და მეზურნეებს მისცეს და შკოლის სასარგებლოთ არაფერი გადადებულა, ბოდიშს ვიხდი ამდენი ხნის პასუხის მოუცმელობისათვის, მაგრამ ეს თქვენი წერილი ქაღალდებში გამებნია და ახლა ძლივს ვნახე.

მარად თქვენი პატ. ბ. იოსელიანი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. 6.4 17 (665)“.

1912 წელს ნ. ესებუა თავისი დასით მოგზაურობს დასავლეთ საქართველოში, გაზეთ „დილას“ ცნობით „კავკასიის უძლეველის ფალავნის ნესტორ ესებუას გამგეობით წავიდნენ საჭიდაოდ რაჭაში და ონში, პარასკევს, 24 და კვირას 26 აგვისტოს 1912 წ. იჭიდავებენ შემდეგი პირნი. პირველი ერთადერთი ქვეყანაზედ უმაღლესი ყველა ადამიანზედ რუსი დეკაცი, ფედია კლიმოვი, მეორე პეტერბურგელი ფალავანი მატუშენკო, მესამე ოდესელი გმირი გაბურენკო, რომელნიც იწვევენ ყველა ადგილობრივ ფალავნებსაც საჭიდაოდ, რანაირ პირობებშიაც სურთ. შემდეგ ონისა გადმოდიან ბუგეულის იარმუკაში“ („დილა“, 1912 წ. 22 აგვისტო).

სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

რევოლუციამდელი პერიოდის ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში დიდი ყურადღება ექცეოდა მანდილოსან ფალავანთა ასპარეზობას, რომელსაც ყოველთვის ხალხმრავალი აუდიტორია ესწრებოდა.

900-იან წლებში ევროპიდან რუსეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოჭიდავე ქალთა ტურნირებმა, უფრო გვიან კავკასიის ყველა დიდ ქალაქში იმართებოდა ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებები ფრანგულ, იგივე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. პირველი ასეთი საერთაშორისო ტურნირი ქუთაისში 1911 წელს გამართულა, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს გვაწვდის მაშინდელი საქალაქო გაზეთი „კოლხიდა“.

საყურადღებოა, რომ 1911 წლის ივლისის მეორე დეკადაში ქუთაისში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონი შვედი პეტერსონი, ინგლისელი ფალავანი რეიტერი, ესპანეთის ჩემპიონი ჯერალდ გოლდი, ავსტრია – უნგრეთის წარმომადგენელი ო. ოპფენ ბახერი, შოტლანდიის ფალავანი კელტი, მალოროსის წარმომადგენელი შევჩენკოს ქალი, „შავი ნიღაბი“ და სხვები.

გაზეთ „კოლხიდას“ ცნობით, ქუთაისში „კინოთეატრ „თამარში“ დაიწყო მოჭიდავე ქალთა ჩემპიონატი. ათი სხვადასხვა ეროვნების ქალი ეცილებოდა ერთმანეთს პირველ ადგილს.

ქუთაისის ხარაზიშვილების ცირკში 900-იან წლებამდე მოაღწია, შემდეგ არც საქალაქო გაზეთებში და არც საარქივო მასალებში იგი ნახსენები არ არის.

მე-20 საუკუნის ათიან წლებში ცნობილმა საქმოსანმა ნიკოლოზ გამყრელიძემ ქუთაისში ცირკი გახსნა. საყურადღებოა, რომ მისივე თაოსნობით ცირკი გაიხსნა ბათუმში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

1910 წლის 1 იანვარს ქუთაისის გაზეთი, „ფონი“ წერდა: „სხვა გასართობ დაწესებულებათა რიცხვს კიდევ მიემატა ერთი გასართობი ცირკი, რომელმაც გახსნისთანავე მრავალი საზოგადოება მიიზიდა“. ამ მასალიდან ირკვევა, რომ ცირკი ქუთაისში დაარსებულა 1900 წლის ბოლოს. თუმცა ჭიდაობა ქალაქის ბულვარშიც იმართებოდა. 1911 წლის 21 მაისს გაზეთი „კოლხიდა“ წერდა: „გუშინ ბაღში სეირნობის დროს, როცა ჭიდაობა იმართებოდა, წარმოუდგენელი ჯიკავი და მიხლა-მოხლა იყო ხალხისა“.

საყურადღებოა, რომ გამყრელიძესეული ცირკი დღიდან გახსნისა ქუთაისელების ერთ-ერთ მთავარ საკრებულო ადგილს წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა თეატრალური დადგმები, ტარდებოდა საჯარო ლექცია – მოხსენებები, საღამოები და სხვა. 1917 წლის 20 ივნისს აღნიშნულ ცირკში ქალაქის ქართულ გიმნაზიას გაუმართავს წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. ამავე ცირკის შენობაში 1917 წლის თებერვლის მესამე დეკადაში ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით საინტერესო საღამო ჩატარებულა. იმავე წლის 10 დეკემბერს ცირკის შენობაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის მაზრის ახალგაზრდობის კომიტეტს გაუმართავს წარმოდგენა, ხოლო შემოსული თანხით შეძენილი სათანადო ლიტერატურით პარტიული ბიბლიოთეკა გაუმდიდრებიათ. 1917 წლის 19 დეკემბერს ქუთაისის ცირკში ვასილ წერეთელს წაუკითხავს საჯარო ლექცია თემაზე „ილია ჭავჭავაძე“. ირკვევა, რომ საცირკო და სპორტულ სანახაობებთან ერთად ქუთაისის ცირკში ლიტერატურული და თეატრალიზებული ღონისძიებები ტარდებოდა, რაც ბუნებრივია, მჭიდრო კონტაქტში იყო ჩვენი ქალაქის 20-იანი წლების ყოველდღიურ ბოპოქარ ცხოვრებასთან და ქუთათურეობის ერთ-ერთ საყვარელ თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა.

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების წინ ქუთაისის ცირკში სპორტული ცხოვრება ჩქეფდა. ქალაქს არა ერთი და ორი სახელოვანი რუსი თუ უცხოელი ფალავანი სწვევია. 1910 წელს ქუთაისის სტუმარი ყოფილა ესკოვსკის ცნობილი ცირკი, ამასთან დაკავშირებით საქალაქო გაზეთი „ფონი“ წერდა: „სამშაბათს, 16 თებერვალს ესკოვსკის ცირკში დაიწყება ფრანგული და კავკასიური ჭიდაობა. ჩემპიონატის შემადგენლობაში არიან ცნობილი მოჭიდავეები რუსეთის და კავკასიისა, იჭიდავებს ესებუა, რომელიც იწვევს მოჭიდავეებს რუსეთის ჩემპიონატიდან, იმ წლებში ქუთაისის ცირკში უჭიდავია მსოფლიო ჩემპიონებს: ივანე პოდდუბნის, პოლ აბსს, ა. აბერგის, გ. ლურიხს, ცნობილ ფალავნებს – ციგანევიჩს, ივანე სპუსს, ნიკოლოზ რაზინს, სალი სულეიმანს და მრავალ სხვას.

სწორედ იმ ხანებში მშობლებმა ქუთაისში სასწავლებლად ჩამოიყვანეს მიშიკო ციმაკურიძე და ქალაქის ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში მოათარეს. ერთ საღამოს მიშიკო ციმაკურიძე და მისი ამხანაგები ქუთაისის ცირკში მივიდნენ, სწორედ იქ აუხდა დიდი ხნის ოცნება – 14 წლის ჭაბუკს საჭიდაო ხალიჩაზე იხილა სახელგანთქმული კოსტა მაისურაძე, ცნობილი ალი აბდული, ბელგიელი ჟორჟ დაზე, ი. ბარამენშოვი, ი. მამედოვი და სხვები. ჭიდაობით გატაცებული მიშიკო და მისი ამხანაგები ხშირად ადიოდნენ გაბაშვილის ბორაზე, „ცირკს“ მართავდნენ და ქანცის გაწყვეტამდე ჭიდაობდნენ.

(გაგრძელება იქნება)

რონალდო: „საერთოდ, ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს დასასრული“

როგორც საყოველთაოდ აღინიშნა, 1998-99 წლების სეზონი რონალდოსათვის მეტისმეტად უხვიეროდ წარიმართა. ბრაზილიელ თავდამსხმელს ესაუბრება „ფრანს ფუტბოლის“ მომხმილველი პაკო აგილარი.

ქრონიკული ტრავმებით გაწამებული რონალდო და მისი „ინტერი“ ყველაზე უფრო უიღბლოდ და წარუმატებლად გამოვიდნენ იტალიის განვლილ ჩემპიონატში.

● *მას შემდეგ, რაც „ინტერი“ „უდინეზესთან“ დამარცხდა, გულშემატკივრებმა არა მარტო სუსტ თამაშში დაგადანაშაულეს, არამედ თითქმის გამყოდველობაშიც კი და თქვენს მანქანას ქვებიც დაუყარეს. ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეიძლება „ინტერი“ დატოვოთ...*

– საშინელი რამ განვიცადე, სრულიად უჩვეულო ჩემს ცხოვრებაში. მანქანაში მარტო არ ვიყავი, ნათესავებიც მახლდნენ, კერძოდ, პატარა ძმისწული. როცა დავინახე, რომ ქვებს გვაყრიდნენ, ძალიან შემეშინდა. საბედნიეროდ, მანქანა ჯავშნიანია, ამის შესახებ შეც არ ვიცოდი.

● *მართლა გინდოდათ „ინტერის“ დატოვება?*

– მეორე დღეს, სანამ ბარსელონამდე ბილეთს ავიღებდი (ამ მატჩში, რომელიც „ბარსელონას“ იუბილეს მიეძღვნა, რონალდო მინდორზე იყო მთელი 90 წუთის განმავლობაში, გაიტანა გოლი, გახდა საგოლე გადაცემის ავტორი, შეხვედრა კი ფრედ 2-2 დასრულდა), „ინტერის“ პრეზიდენტ მორატის ვუთხარი: „რაღაცა უნდა გავაკეთოთ. რაც მოხდა, სრულიად მიუღებელია. მომწონს „ინტერში“ ყოფნა, მაგრამ უნდა გითხრათ: თუკი როდესმე მსგავსი რამ განმეორდა, გუნდს დავტოვებ, როგორი შედეგებიც არ უნდა მოჰყვეს ამას. აღარც კონტრაქტი ამაღელვებს, არც სპონსორები, არც ყველა სხვა დანარჩენი“.

● *არ ფიქრობთ, რომ გულშემატკივრები მართლაც შეიძლება იმედგაცრუებულნი იყვნენ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ სეზონში მოხდა?*

– რა თქმა უნდა. შემიძლია იმათაც დავეთანხმო, ვინც ჩემს თამაშს აკრიტიკებდა. ერთადერთი, რაც ჩემთვის მიუღებელია, ეს სისასტიკეა.

● *გუნდთან გამოთხოვების თქვენი მუქარა ხომ არ უკავშირდება, როგორც ამბობენ, არც ისე გულთბილ ურთიერთობასთან სამორანოს, ძანეტისა და სიმეონეს სამეულთან?*

– ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა. ცხადია, რომ „ინტერის“ შემადგენლობა რამდენიმე დაჯგუფებად არის დაყოფილი. „ინტერში“ ძალზე ბევრი მოთამაშეა. ბევრმა იცის, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება და ამდენად მოტივაცია აღარა აქვთ. მოტივაცია კი გამარჯვების მთავარი პირობაა.

● *შეგიძლიათ გვარებიც დაგვისახელოთ?*

– ამას ნებისმიერი გააკეთებს, ვინც ცოტაოდენს მაინც ერკვევა ფეხბურთში.

● *რით ხსნით იმას, რაც „ინტერში“ ხდება?*

– ვთვლი, რომ კლუბში ძალზე ბევრი ანალიტიკოსი მოგროვდა. პრეზიდენტის გარშემო უამრავმა თანამშრომელმა მოიყარა თავი, ისინი ნამდვილ ბალასტს წარმოადგენენ. მაცოლა, ფაკეტი, სუარესი. ასეთ პირობებში მწვრთნელი ძალზე ძლიერი პიროვნება უნდა იყოს. ბევრი მოთამაშე, ვინც ჰოჯსონს იცნობდა, ამბობდა, რომ იგი ხელმძღვანელობას გასახდელთან ახლოსაც არ უშვებდა, ვიცი, რომ ლიპი არასდროს არ აჰყვება ვინმეს აზრს.

● *ის, რომ თქვენ კაპიტანი გახდით, ხომ შეიძლება ვთქვათ, ეს სიმეონეს შურს იწვევდეს?*

– არასოდეს მომითხოვია კაპიტნობა, ეს კასტელინიმ („ინტერის“ დროებითმა მწვრთნელმა) მანდო. ამასთან, იგი აუცილებლად მოეთათბირებოდა კლუბის მესვეურებს. რაც შემეხება მე, ვამაყობ, რომ კაპიტანი გავხდი. თუ ვინმეს არ მოსწონს ეს, შემიძლია დავუთმო.

● *მარჩელო ლიპი ახსენეთ, ამბობენ, შეხვდით კიდეც მას.*

– დიახ. მილანში შევხვდით ერთმანეთს. ლიპიმ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გამაცნო თავისი პროექტი, რომელიც სერიოზულად და სოლიდურად მომეჩვენა.

● *ერთი სიტყვით, „ინტერში“ რჩებით...*

– მორატის დავპირდი, რომ დავრჩებოდი და ამას ვაკეთებ კიდეც. მაგრამ ისიც ვუთხარი, რომ უკანასკნელმა სეზონმა ძალზე შემაშფოთა.

● *„ნოუ კამპზე“ ისე კარგად თამაშობდით, რომ „ბარსას“ გულშემატკივრებმა კვლავ თქვენს დაბრუნებაზე დაიწყეს ოცნება.*

– ძალიან გამახარა ბარსელონაში ყოფნამ. მიყვარს ეს ქალაქი, გულშემატკივრები, მაგრამ ვერ დავბრუნდები. იგი 1997 წელს დავტოვე „ბარსელონას“ პრეზიდენტ ნუნიესის გამო, რომელზედაც გული ამიცრუდა, რადგან საკუთარი სიტყვის პატრონი არ აღმოჩნდა. სხვა მხრივ, ბარსელონას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

● *ხომ არ გაშფოთებთ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის უსიამოვნო მოგონება?*

– აღარც მინდა ვიფიქრო იმ კოშმარზე, რომელიც მაშინ საფრანგეთში განვიცადე.

● *როგორ შეხვდით ბრაზილიის ნაკრებიდან თქვენს პარტნიორებს, ახალ მწვრთნელ ლუქსემბურგოს?*

– ლუქსემბურგო მშვენიერი სპეციალისტია, თანამემამულეებთან შეხვედრა კი ყოველთვის სიხარულს მგვრის. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს მინდორზე, რივალდო და ამოროზო კი ჩინებულად მამარაგებდნენ ბურთით. ლუქსემბურგო დამპირდა ამერიკის თასის გათამაშებაში მიმიწვიოს (29 ივნისიდან 15 ივლისამდე პარაგვაიში), იმასთან დაკავშირებით, რომ სეზონი დასასრულს მიუახლოვდა, ეს ფორმის შენარჩუნებისა და რენომეს აღდგენის შეუძლებლობაა.

● *დავუბრუნდეთ „ინტერს“. ეტყობა, ლიპის პროექტი განხორციელებას იწყებს. კლუბი მადრიდის „რეალიდან“ პანუჩის მოწვევას აპირებს.*

– კარგად ვიცნობ პანუჩის. იგი მაღალი კლასის მცველია და დაცვას უდავოდ გააძლიერებს.

● *მომავალ პარტნიორებს შორის დომოროსაც ასახელებენ.*

– მარსელის „ოლიმპიკის“ მატჩების მიხედვით, რომელიც ტელევიზით ვნახე, იგი ჩინებული მცველია.

● *ერთი სიტყვით, ახალ სეზონს ოპტიმისტურად უყურებთ.*

– საერთოდ, ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს დასასრული... აღმაშფოთა, რომ ჩემს მანქანას ქვები დაუყარეს. მორატიმ ამიხსნა, რომ ეს ოთხმა ავადმყოფმა კაცმა ჩაიდინა, რომლებიც ტიფოზის სახელის ღირსნი არ არიან. საინტერესოა, რას იტყოდნენ ისინი 1997-1998 წლების სეზონზე, როცა 34 გოლი გავიტანე.

ახლა ზოგი რამ იმის შესახებ, რაც რონალდოს ამ სეზონში გადახდა.

1998 წლის 12 ივლისი. რონალდო „საფეხბურთო სიკვდილის“ მიჯნაზეა. „ოქროს ბურთის“ მფლობელი რაღაც გაუგებარ და მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საფრანგეთ-ბრაზილიის ფინალური მატჩის წინ. (შემდეგ ამ კრიზისს დაიწყებენ – ლილასის კლინიკის ექიმებმა რონალდოს რაიმე მნიშვნელოვანი გადახრა ვერ აღმოუჩინეს). ედმუნდო მზად არის მის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

1998 წლის 13 ივლისი. ბრაზილიელი ფეხბურთელების ნაწილი ეწვევა ლიპის, რომელიც ამ დროისათვის ფლორენციის „ფიორენტინას“ ხელმძღვანელია. ლიპი ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ ფლორენციაში ჯანმრთელობის პრობლემები არ ექნებათ.

1998 წლის 14 ივლისი. ედმუნდო ხელს აწერს კონტრაქტს „ფიორენტინასთან“.

1998 წლის 15 ივლისი. რონალდო ხელს აწერს კონტრაქტს „ინტერთან“.

1998 წლის 16 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 17 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 18 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 19 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 20 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 21 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 22 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 23 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 24 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 25 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 26 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 27 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 28 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 29 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 30 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 31 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 1 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 2 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 3 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 4 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 5 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 6 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 7 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 8 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 9 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 10 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 11 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 12 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 13 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 14 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 15 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 16 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 17 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 18 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 19 აგვისტო. ბრაზილიის ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ რონალდოს ჯანმრთელობა ნორმალურია.

1998 წლის 20 აგვისტო. „ფენომენი“ არდადეგებიდან ბრუნდება. პროგრამაში ლასვეგასი და ბრაზილია იყო. თავს კარგად გრძნობ. ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა აღარა მაქვს, მხოლოდ წონაში ცოტაოდენი მოვიმატე.

9 სექტემბერი. ბრაზილიელი იტალიის თასის მატჩით „ინტერსა“ და „ჩეზანას“ შორის ხსნის სეზონს.

20 სექტემბერი. იტალიის პირველობის მეორე ტური: „ინტერი“ – „პიაჩენცა“. რონალდოს თავის პირველ მატჩში 11-მეტრიანით გააქვს პირველი გოლი.

27 სექტემბერი. რონალდო ტრავმის გამო არ მონაწილეობს მესამე ტურის მატჩში „ემპოლისა“ და „ინტერს“ შორის.

21 ოქტომბერი. „ინტერი“ – „სპარტაკი“ ჩემპიონთა ლიგაში. რონალდომ 73 წუთი ითამაშა, გაიტანა გოლი და საგოლე გადაცემაც „მიართვა“ ვენტოლას.

25 ოქტომბერი. „იუვენტუს“ – „ინტერის“ მატჩის წინ მილანის კლუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რონალდომ სავსებით აღიდგინა სპორტული ფორმა. სინამდვილეში რონალდომ ეს მატჩი სუსტად წარმართა. ერთადერთი გამართლება: „სიმონის ხელში „ინტერი“ არ არის მზად თამაშის შეტევითი სტილით წარმართვისათვის“.

1998 წლის ოქტომბრის მიწურული – 1999 წლის იანვრის დასაწყისი. რონალდო ჩემპიონატში 6 თამაშს ატარებს (ზოგჯერ მთლიანად არა), გაიტანს 3 გოლი. სამი თამაში ჩემპიონთა ლიგაში (გოლი და საგოლე გადაცემა „რეალთან“ მატჩში 25 ნოემბერს). ამ ხნის განმავლობაში „ინტერი“ ათავისუფლებს სიმონის და მწვრთნელად იწვევს ლუჩესკუს.

10 იანვარი. „ინტერი“ – „ვენეცია“ 6-2. რონალდოს ორი გოლი (ერთი პენალტით). შედეგიანი გადაცემა. ეს მატჩი ბრაზილიელისათვის საუკეთესოდ ჩაითვალა.

17 იანვარი. რონალდოს ბოლო მატჩი ჩემპიონატში დიდი შესვენების წინ (0-2 „ბოლონიასთან“). ექიმებს გაგონებაც არ სურთ ოპერაციის შესახებ.

3 თებერვალი. რონალდოს პრესკონფერენცია: „ჩემი მიზანია 3 მარტს ვითამაშო „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ.

3 მარტი. რონალდო სათადარიგო მოთამაშეთა შორისაც არ არის.

14 მარტი. რონალდო არცთუ სავსებით მზად არის ითამაშოს განმეორებით შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. თამაშობს ერთ ტაიმს „მილანთან“, რათა 17 მარტისათვის მოემზადოს. „თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ. არ ვიცი, შევძლებ თუ არა 17 მარტს მთლიანად თამაშს, მაგრამ ვგრძნობ, რომ მალე დიდ ნაბიჯს გადავდგამ წინ“.

17 მარტი. თამაშობს 60 წუთს. ინგლისელები მიზანს აღწევენ: 1-1. „სან-სიროზე“ რონალდოს მკრთალი აჩრდილი თუ მოქმედებს. რამდენიმე დღის შემდეგ ლუჩესკუს მეკარეთა მწვრთნელი კასტელინი ცვლის.

3 აპრილი. „ფენომენი“ დაბრუნდა? რონალდო მწვავედ თამაშობს, გაიტანს ორი პენალტი და „ინტერი“ „ფიორენტინას“ ამარცხებს – 2-0.

25 აპრილი. „ინტერი“ შინ მარცხდება „უდინეზესთან“ – 1-3. ტიფოზებმა რონალდოს მანქანას ქვები დაუშინეს. რონალდოს არ ესმის ასეთი რეაქციისა და აცხადებს, რომ შეიძლება კლუბი დატოვოს.

28 აპრილი. „ბარსელონას“ დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი. რონალდო ბევრს თამაშობს „მაყურებლებისათვის“. გააქვს გოლი, ისევე, როგორც ადრინდელ წლებში: ბრწყინვალე დრიბლინგს შედეგ უძლიერესი დარტყმით არხევს ბადეს. „ინტერს“ დროებით, მარჩელო ლიპის მოსვლამდე რიო ჰოჯსონი უდგება სათავეში, რომელიც ამ კლუბს 1995 წლის ოქტომბრიდან 1997 წლის მაისამდე წვრთნიდა.

23 მაისი. რონალდოს პირველი გოლი გააქვს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ბოლონიასთან“ (3-1), თუმცა ამ გამარჯვებას გუნდისთვის არაფერი მოაქვს.

სულ რონალდომ იტალიის ჩემპიონატში 17 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა, რითაც უძლიერეს სნაიპერთა ათეულში მოხვდა.

მოამზადა
გივი თორელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

მარადონა ფოლკლენდის კუნძულებს ეწვევა

მსოფლიო ფეხბურთის ყოფილმა სუპერვარსკვლავმა მარადონამ ფოლკლენდის კუნძულების ფეხბურთის ფედერაციის მიწვევა მიიღო და გამგზავრებისათვისაც ემზადება. ვიზიტის ოფიციალური მიზანია ადგილობრივი საფეხბურთო ლიგისთვის დახმარების გაწევა. ფოლკლენდის კუნძულები დიდხანს იყო დავის საგანი არგენტინასა და ინგლისს შორის, 1982 წელს შეიარაღებული კონფლიქტიც კი მოხდა. ინგლისს სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით დიდი უპირატესობა ჰქონდა და შეტაკებაც მისი გამარჯვებით დამთავრდა. იმ დროიდან მოყოლებული ინგლისი კუნძულებს სუვერენიტეტს არ ანიჭებს. მიმომხილველთა აზრით კუნძულებზე გამგზავრებით მარადონა შეეცდება ყურადღება მიიპყროს, როგორც პოლიტიკურმა ფიგურამ.

კლინსმანის უკანასკნელი მატჩი

როგორც იურგენ კლინსმანმა ჟურნალისტებს განუცხადა, 12 ივნისის მატჩი სიდნეიში ავსტრალიისა და მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებებს შორის (3-2 ავსტრალიელთა სასარგებლოდ) საერთოდ, უკანასკნელი იყო მის საფეხბურთო კარიერაში.



ერიქსონი უიღბლო კაცია

შვედი სვენ-გორან ერიქსონი, ერთის მხრივ, ბრწყინვალე ერუდირებულ მწვრთნელად ითვლება, მაგრამ, მეორე მხრივ, შეტად უიღბლო ადამიანია. 1986 წელს, „რომას“ რომ წვრთნიდა, სულ უკანასკნელ მომენტში გაუშვა ხელიდან ჩემპიონობა. იგივე მოუვიდა 1998 და 1999 წლებში „ლაციოში“.

იტალიური მიგრაცია

იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაიწყო მწვრთნელების ახალ კლუბებში გადასვლა.

„ვენეცია“ დატოვა ვალტერ ნოველინომ. მის მაგივრად მიწვეულია გენუის „სამპდორიის“ ყოფილი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი. გაგახსენებთ, გენუელთა კლუბი ამ სეზონში ცუდად გამოვიდა და ბოლო 17 წლის განმავლობაში პირველად დატოვა „სერია A“.

რაც შეეხება ნოველინოს, იგი სათავეში ჩაუდგა „ნაპოლის“, რომელიც „სერია B“-ში გამოდის. მას შემდეგ, რაც „ნაპოლიმ“ ამ სეზონში ვერ მოახერხა „სერია A“-ში დაბრუნება, კლუბის დერექტორატმა გაანთავისუფლა ცნობილი მწვრთნელი რენცო ულივიერი.

შაბათს, 21 აგვისტოს

პირველი მატჩი იტალიის ახალ სეზონში 21 აგვისტოს გაიმართება – იტალიის სუპერთასზე „მილანი“ და „პარმა“ ხვდებიან ერთმანეთს. კვირას, 29 აგვისტოს კი ჩემპიონატი დაიწყება.

„მასტერკარდი“ კვლავ დაეხმარება

კომპანია „მასტერკარდი“ უკვე რამდენიმე წელია გამოდის ყველა უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო შეჯიბრების სპონსორის როლში, მათ შორის ჩემპიონთა ლიგასა და მსოფლიო ჩემპიონატებსაც უწევს დახმარებას.

როგორც „მასტერკარდის“ მესვეურებმა განაცხადეს, კომპანია ევრო-2000-ის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იქნება, მისი წარმომადგენელი კი, ისევე, როგორც ადრე ფეხბურთის მეფე-პელე.

პეტრუშინი იარცევის ნაცვლად

სამშაბათს გაიმართა მოსკოვის „დინამოს“ დირექტორატის სხდომა, რომელმაც განიხილა საფეხბურთო კლუბში შექმნილი ვითარება. იმის გამო, რომ გუნდის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან განთავისუფლებულია გიორგი იარცევი. იგი ალექსეი პეტრუშინმა შეცვალა, რომელიც აქამდე „დინამოს“ მეორე გუნდის ხელმძღვანელი იყო.

კარგი მოხერხებაა

იაროსლავლის „შინიკი“ რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ვერაფერს დაიკვეხნის: 16 მონაწილეს შორის მხოლოდ მეთხუთმეტე ადგილზეა. და კიდევ – უკვე 697 წუთი გავიდა, რაც გუნდს გოლი არ გაუტანია. ამასთან, უკვე კარგა ხანია „შინიკს“ მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს და რომელიმე კარგ სპეციალისტთან კავშირის დამყარებას ცდილობს.

ჯერ ნოკდაუნი, შემდეგ ნოკაუტი

საშინელი რამ მოხდა უაზანის გუნდების „რაკეტისა“ და „ელექტრონის“ შეხვედრაში. „ელექტრონის“ ნახევარმცველი ისკანდერ შაიხოვი მეორე ყვითელი ბარათის მიღებამ მოთმინებიდან ისე გამოიყვანა, რომ იგი მიეჭრა არბიტრ ანატოლი შილოვს და ჭიდაობის ილეთით ბალახზე დასცა. არბიტრი ნოკდაუნის მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ, როცა წამოდგა, გაძევებულმა მოთამაშემ უბაში უძლიერესი დარტყმით უკვე ნოკაუტში გაისტუმრა. მსაჯი ერთხანს იწვა, მაგრამ შემდეგ წამოდგა და თამაში ბოლომდე მიიყვანა. მაშინ შაიხოვი უკვე გასახდელში მიეჭრა...

ახლა შილოვი უბის ტრავმით საავადმყოფოშია, შაიხოვის ბედს კი უაზანის ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკრიპტების ზამთარი

UEFA EURO 2000

ევროსაბჭომ მოიწონა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ბილეთების გავრცელების უეფას გეგმა. ბილეთების საერთო რაოდენობიდან დაახლოებით 37 პროცენტი ანუ 230 ათასი, თავისუფლად გაიყიდება. მათი ფასი საკმაოდ დაბალია.

წილისყრის შემდეგ, როცა ყველა ფინალისტი იქნება ცნობილი, გაიყიდება კიდევ 408 ათასი ბილეთი, რომელიც ფინალისტი ქვეყნების გულშემატკივრებისათვის იქნება განკუთვნილი. უეფა შეეცდება თავიდან აიცილოს საფრანგეთში მოფლეო ჩემპიონატის შეცდომები, მაშინ ბილეთების 65 პროცენტი მასპინძლებმა შეიძინეს, რამაც სხვა ევროპულ ქვეყნებში აღშფოთება გამოიწვია. მათ ფრანგები ევროსაბჭოში შემავალ ქვეყნებში ვაჭრობის წესების დარღვევაში დაადანაშაულეს.

ბედნიერი ძაკერონი

იტალიური პრესა ძალიან აქებს მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის, რომელმაც პირველივე წელსვე „მილანს“ ჩემპიონობა მოუპოვა. გუნდი იყენებდა სხვადასხვა სათამაშო სქემას: 4-4-2, 3-4-3 ან 3-4-1-2.

აი რას ლაპარაკობს მათ შესახებ თვით ალბერტო ძაკერონი:

— სქემები მაშინ იძლევა შედეგს, როცა მაღალი კლასის შემსრულებლები გვყავს. ვითვალისწინებდით ჩვენს შესაძლებლობებს და ვეჩვენეთ, რომ შეგვიძლია თავდასხმაში ორი ფორვარდითაც ვითამაშოთ და სამითაც. მთავარი კი მუდმივი მოძრაობა გახლავთ... დარწმუნებული ვარ, რომ მატჩს ფეხბურთელები ამა თუ იმ სისტემის კარგად გამოყენებით და მოწინააღმდეგე გუნდის ტაქტიკური თამაშის ამოცნობით იგებენ.

მწვრთნელთა როკი

მხოლოდ ერთ კვირას იყო უქმად სპორტნეთის „ოლიმპიაკოსის“ იუგოსლავიელი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი. იგი 3-წლიანი კონტრაქტით მიიწვია ათენის აეკ-მა. მის ადგილას „ოლიმპიაკოსმა“ აეკ-ის ყოფილი მთავარი მწვრთნელი იანის ოანიდისი დანიშნა.

გაჭიანურებული „რომანი“ „ბებერ ქალბატონთან“

ანტონიო კონტესთვის, ისევე როგორც „იუვენტუსისთვის“, 7 თებერვლის კვირადღე გარდამტეხი აღმოჩნდა. იმ დღეს ტურინელებმა მეტად მტკივნეული მარცხი განიცადეს „პარმასაგან“ – 2-4, რის შემდეგაც „იუვეს“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ გადაწყვეტილება მიიღო დროზე ადრე დაეტოვებინა პოსტი და „ბებერი ქალბატონი“ კარლო ანჩელოტიმ ჩაიბარა. თუ ლიპიმ ანტონიო კონტე სათადარიგო მოთამაშედ აქცია, ანჩელოტიმ ეს კოლორიტული ფიგურა გუნდის ძირითად ფეხბურთელი გახადა და კაპიტნის სამკლაურიც უბოძა. ანტონიომ კი ასეთი დიდი ნდობა კარლო ანჩელოტის მართლაც რომ დაუფასა – კონტე ახალგაზრდული შემართებით ათამაშდა და გოლების გატანაც დაიწყო, თანაც გადამწყვეტი და უაღრესად მნიშვნელოვანი გოლების. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ოლიმპიაკოსთან“ და ამავე ტურნირის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“, არადა, 9 თვის განმავლობაში კონტე ხომ „მიძინებული“ გახლდათ ყველას ეგონა, რომ მისი ხანგრძლივი კარიერა „იუვენტუსში“ ბოლო დღეებს ითვლიდა და საშუალო დონის პროვინციულ კლუბში გადასვლა არ ასცდებოდა. მაგრამ, როგორც გაირკვა, გრაფის (ასე ითარგმნება მისი გვარი იტალიურიდან) თავიდან მოცილება არც ისე ადვილი ყოფილა...

კონტე დაიბადა ლეჩეში და ექვსი წლის განმავლობაში იქაურ კლუბში გამოდიოდა. „იუვენტუსში“ კი გრაფი 1991 წლის დეკემბერში გადავიდა. ამ სუპერკლუბში ანტონიოს რამდენჯერმე დაუდგა კრიტიკული მომენტი, როცა მის „რომანს“ „ბებერ ქალბატონთან“ დასასრული ემუქრებოდა. მაგალითად, შარშანდელ მაისში, როცა „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა მადრიდის „რეალთან“ ამსტერდამში. „მატჩის შემდეგ, რომელშიც მხოლოდ 16 წუთი დავყავი მინდორზე, ჩვენს ფანებთან მივირბინე და მათ ჩემი მაისური ვესროლე. აი, მაშინ ვიგრძენი, რომ გუნდში ჩემი ყოფნის დრო იწურებოდა“, – იხსენებს კონტე. ლიპიმაც ასე ჩათვალა. გრაფზე წინ აყენებდა ყველა იმ ნახევარმცველებს, რომლებიც „იუვეში“ ირიცხებიან: ზინედინ ზიდანი, დიდიე დეშამი, ედგარ დავიდსი, ჯანლუკა პესოტო, ჟოსლენ ბლანშარი. 1998-99 წლების სეზონის დასაწყისში კონტე დაშავდა, თუმცა მისი ტრავმა უსაშველო და სერიოზული არ ყოფილა, მაგრამ მარჩელო ლიპიმ ეს ფაქტორი მშვენივრად გამოიყენა – კაპიტნობა დელ პიეროს გადააბარა. „ლიპიმ თვითონ წამართვა კაპიტნის სამკლაური და ჩემი თანაგუნდელები აქ არაფერ შუაში არიან. თანაც ლიპიმ, ეს, გუნდში ჩემი არყოფნის დროს გააკეთა, რაც ჩემს კარიერაში ერთერთი ყველაზე უსიამოვნო მომენტი გახლდათ“ – ასე გამოხატა წყენა ანტონიო კონტემ „იუვენტუსის“ ყოფილი დამრიგებლისადმი.

კონტეს ტრავმა ჟურნალისტებისთვისაც რატომღაც აქტუალურ თემად იქცა, რომლის სირთულეს აზიადებდნენ კიდეც, რამაც ალბათ გარკვეული წვლილი შეიტანა ამ ფეხბურთელის შემდგომ კარიერაში. „იუვენტუსსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის თითქმის უკვე მიღწეული იყო შეთანხმება კონტეს ტრანსფერზე, მაგრამ მადრიდელთა მაშინდელმა თავკაცმა არიგო საკიმ, რომელსაც ლიპის მსგავსად სეზონის დასრულებამდე მოუწია პოსტის დაკავება, ერთი ვაი-უშველებელი ატეხა – აქაოდა, ტურინელებს ჩვენთვის ხეიბრის შემოჩენა სურთო. ჰოდა, კონტეც „იუვენტუსში“ დარჩა. გუნდის სათავეში კარლო ანჩელოტის მოსვლიდან კი ანტონიოსათვის ყველაფერი შეიცვალა. სათამაშო ფილოსოფია ამ მწვრთნელისთვის მტკიცე და შეუცვლელია – ის გუნდის ტაქტიკურ სქემას 4-4-2 აგებს და გათვლას ძირითადად დაუოკებელ, ხისტ ნახევარმცველებზე აკეთებს.

როგორც კი ანჩელოტი „იუვენტუსში“ მუშაობას შეუდგა, მაშინვე ცალკე უხმო კონტეს და უთხრა, რომ მისი განსაკუთრებული იმედი ჰქონდა. როცა ანჩელოტი „პარმას“ წვრთნიდა, იმით გაითქვა სახელი, რომ ჯანფრანკო ძოლა აიძულა ინგლისში გადაბარგებულიყო და კლუბს ხელი ააღებინა რობერტო ბაჯოს შეძენაზე – ასეთი ტიპის ფეხბურთელები ანჩელოტის კონცეფციაში ვერ ჩაჯდებოდნენ, კონტე კი, პირიქით. „იუვემ“ ახალი მწვრთნელის თავკაცობით პირველი მატჩი მოიგო „პიაჩენცასთან“, რომელშიც, ანტონიო კონტე, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იყო. ერთი კვირის შემდეგ „ბებერმა სინიორამ“ იგივე ანგარიშით დაჯაბნა „ვიჩენცა“, სადაც კონტემ ერთი გოლი გაიტანა. ნამდვილი ხელახალი აღიარება კი ანტონიოს სტუმრად „ოლიმპიაკოსის“ კარში გატანილმა გოლმა მოუტანა, რისი წყალობითაც „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. „ეს რაღაც განსაკუთრებული რამ იყო, როცა მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 85-ათასიანი აღრიალებული ხალხის მასა ვაიძულე დადუმებულიყო“ – ასე იხსენებს იმ გოლს კონტე.

ფეხბურთელის ასეთი გარჯა არც იტალიის ეროვნული გუნდის თავკაცის დინო ძოფისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი – „სკუადრა აძურას“ დამრიგებელი კონტეს მეორე სუნთქვის გახსნით ერთობ მოიხიბლა და ანტონიო ევრო-2000-ის მატჩისათვის მიიწვია დანიის ნაკრებთან სათამაშოდ. ძოფმა კონტე მეორე ტაიმში ჩართო თამაშში, როცა სიტუაცია იტალიელთათვის საკმაოდ გართულდა. დანიელებმა ანგარიში გაათანაბრეს და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს, რათა „სკუადრა აძურასთვის“ სამი ქულა აეწაპათ. ანტონიო კონტემ კი, რომელიც მეცხრე მატჩს ატარებდა ნაკრებში, მობილურობა შემატა გუნდის ნახევარდაცვას, მერე შეტევაშიც ჩაერთო და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა – კონტეს წყალობით იტალიამ გასვლაზე მოუგო (2-1) მთავარ კონკურენტს ჯგუფში. ეს ანტონიოს ტრიუმფალური დაბრუნება გახლდათ იტალიის ეროვნულ გუნდში, რომელშიც ბოლოს მან 1996 წელს ითამაშა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ პერუჯაში, რომელსაც არიგო საკი წვრთნიდა. ეს მწვრთნელი ანჩელოტის მსგავსად ძალიან აფასებდა კონტეს თამაშს, აი ნაკრების მომავალმა თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ კი ანტონიო აითვალისწუნა...

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კონტემ მანჩესტერშიც გაიტანა გოლი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, მაგრამ იმ გოლმა საბოლოო ჯამში ვერ იხსნა „იუვენტუსი“, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა დაარწმუნა იმაში, რომ გრაფის ჩამოწერა ნაადრევია. „იუვეს“ გენერალური დირექტორის ლუჩიანო მოჯის განცხადებით, კლუბი აპირებს 2000 წლამდე გააგრძელოს კონტრაქტი ანტონიოსთან. „ჩემი ოცნებაა, რომ „იუვენტუსში“ ათი სეზონი ჩავატარო, რისთვისაც კიდევ ორი სეზონი მჭირდება“ – დასძენს ანტონიო კონტე, რომლის ოცნების ხორცშესხმას სამკაოდ დიდი შანსები გააჩნია.

ჰედი ეგნიუ („WORLD SOCCER“)
იბეჭდება უცვლელად.

კაიზერის გუნდი და ძლევამოსილება იზრდება

გერმანია არ ცხრება და მთელი ფრონტით გადადის შეტევაზე. არიელთა საფეხბურთო მანქანა თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტ სიმძლავრეებს ანვითარებს, რომელსაც ინგლისური, აფრიკული თუ სამხრეთამერიკული კონკურენტები ჯერჯერობით პირდაფრენილი შეჰყურებენ. ალბათ მიხვდით, რომ საქმე მსოფლიოს მე-18 ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებას ეხება.

„ლელოს“ მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ გერმანელთა ამ კამპანიას სათავეში უდგას ფრანც ბეკენბაუერი. ახლახან მას გიუნტერ ნეტცერი და კარლ-ჰაინც რუმენიგე შეუერთდნენ. ეს სამეული ძირითადად გერმანელთა საფეხბურთო დიპლომატიის წარმომადგენელი იქნება ანუ კამპანიის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი. „ნეტცერსა და რუმენიგეს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვთ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ისინი ჩემს გვერდით არიან“ – განაცხადა კაიზერ ფრინცმა, ხოლო რუმენიგე დასძენს: „ჩვენი უდიდესი უპირატესობებია: ფანტასტიკური გეოგრაფიული მდებარეობა ევროპის ცენტრში სრულყოფილი ინფრასტრუქტურით, უზარმაზარი ენთუზიაზმი ფეხბურთის მიმართ, სტუმართმოყვარე მოსახლეობა და რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილი ჩვენი ორგანიზატორული ნიჭი“. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებისთვის გაჩაღებულ გერმანელთა კამპანიას უკვე ჰყავს 10 ოფიციალური მძლავრი სპონსორი. ამ საქმეში მეტად აქტიურადაა ჩაბმული ქვეყნის მთავრობა და თვით გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი. გერმანიის სხვადასხვა ნაკრებს უყვება საშინაო მატჩებზე სტადიონის სარეკლამო დაფებს ამშვენებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გერმანული ლოგოები, შექმნილია გერმანიის მთელი რიგი სტადიონების მოდერნიზაციის პროექტები 2006 წლის მონდიალისთვის და უკვე გამოუფილია თანხებიც მათი განხორციელებისათვის. განზრახულია, რომ ამ კამპანიაში ჩაერთოს გერმანიის ყველა გამოჩენილი სპორტსმენი. პიონერობა კი ამ საქმეში ცნობილმა ველოსიპედისტმა, „ტურ დე ფრანსის“ 1997 წლის გამარჯვებულმა და 1998 წლის მეორე პრიზიორმა იან ულრიხმა ითავა.

გერმანელთა ასეთ აქტიურ, თავდაჯერებულ და ზედმიწევნით ქმედით ზომებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს სხვა კანდიდატები ჯერჯერობით არ ან ვერ მიმართავენ. ფიფა, რომელსაც არაორდინარული ზეპ ბლატერი თავკაცობს, ვერაფრის დიდებით ვერ დახუჭავს თვალს გერმანელთა შთამბეჭდავ კამპანიაზე, მაგრამ ისიც კია, რომ ვერც ვერავინ აიძულებს ამ კონსერვატიულ ორგანიზაციას რაღაც რაღაცეებს. ვნახოთ ერთი, როგორ „გამოძვრება“ ამ სიტუაციიდან ბლატერი, რომელიც მოხდენილად ეკიკლუცება აფრიკელებს...

დათო თავართქილაძე

სურათზე: გიუნტერ ნეტცერი და ფრანც ბეკენბაუერი დორტმუნდის „ვეშტფალენშტადიონის“ საფეხბურთო დაფასთან..

„ქარგ მოთამაშეებს მოუყარეს თავი, მაგრამ...“

რუსეთის ნაკრების ფეხბურთელმა იგორ იანოვსკიმ ერთი წელი გაატარა „პარი სენ-ჟერმენში“.

● *რა იყო გუნდის ჩაშლის მიზეზი?*

— გუნდი, როგორც ასეთი, ვერ ჩამოყალიბდა. კარგ მოთამაშეებს კი მოუყარეს თავი, მაგრამ მათი შედუღაბება ვერ მოხერხდა. რაც შეეხება კოლექტივს მინდვრის გარეთ, იგი საერთოდ არ არსებობდა. ამას დაერთო მწვრთნელების ხშირი ცვლა.

● *რომელი ფრანგული კლუბი მოგვწონან?*

— „ბორდო“. მართალია, მის წინააღმდეგ არ მითამაშია. იგი, „პსჟ“-საგან განსხვავებით, ისეთი კლუბის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც ყველაფერი მოგვარებულია. ვთვლი, რომ ჩემპიონატში ყველამ ის ადგილი დაიკავა, რასაც იმსახურებდა.

● *რომელი მოთამაშეები მოგვწონან?*

— ვიკა“ დორასო „ლიონიდან“, ნამდვილი დირიჟორია. შეუძლია ბურთის ჩინებული გადაცემა: ახლო მანძილზეც, შორსაც, მთელი თამაში მიჰყავს. ასეთი მოთამაშეები მართლაც იშვიათად გეხვდება. რა თქმა უნდა, კარგია ალი ბენარბია „ბორდოდან“. მას ფეხბურთელებმა თავიანთი „ოსკარი“ მიაკუთვნეს.

● *თვდამსხმელები?*

— სილვენ ვილტორი „ბორდოდან“ განსაკუთრებული ნიჭის ფეხბურთელია. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე ჰყავს „ნანტსაც“. გამოვყოფდი თავდამსხმელ ოლივიე მონტერიუბოს.



უზომოდ გედნიერი შტეფი გრაფი

როლან გაროსზე გამარჯვებისთვის 30 წლის შტეფი გრაფმა 3840 000 ფრანკი მიიღო. თუმცა რა არის ეს თანხა იმ მორალურ გამარჯვებასთან, რომელიც გერმანელმა ჩოგბურთელმა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მოიპოვა.

● *თქვენ „დიდი მუზარადის“ ასპარეზობებში 22-ჯერ მოიპოვეთ პირველი ჯილდო. ამასთან, ეტყობა, სწორედ ეს გამარჯვება იყო ყველაზე მოულოდნელი და სასურველი.*

– დიახ, ეს ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ტურნირის დაწყებამდე, სულაც არ ვიყავი ამაში დარწმუნებული. ფინალური მატჩი კი, უბრალოდ, გიჟურს ჰგავდა. ყველაზე უფრო გიჟურს იმათთაგან, რომელიც კი ოდესმე მითამაშია. მარტინა ზოგ მომენტში ისე კარგად თამაშობდა, რომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ვიბნეოდი. მოულოდნელად მან საშუალება მომცა ინიციატივას დავუფლებოდი. ზოგჯერ ვითარება მატჩში ორივე ჩვენგანისათვის მოულოდნელად იცვლებოდა.

● *როლან გაროსზე გამარჯვება ხელს შეგიწყობთ უიმბლდონზე თუ, პირიქით, გაგირთულებთ საქმეს?*

– არ ვიცი. ის კი ცხადია, რომ ლონდონში კარგი განწყობილებით, დიდი იმედებით წავალ. ძალიან მიყვარს ბალახის საფარზე თამაში. ამიტომაც, ყოველთვის აღტაცებული ვიყავი უიმბლდონით.

როლან გაროსის ეჭო

● *პარიზში მარტინა ჰინგისმა თქვა, რომ ფრანგი გულშემატკივრები ვერ იგებენ მის ჩოგბურს. თამაშობს მსუბუქად, ჰაეროვნად, ზუსტად, ლამაზად – მაყურებლებს მაინც არ მოსწონთ. თქვენ მოგწონთ მისი სტილი, მარტინას ნამდვილად დიდ ჩოგბურთელად თვლით?*

– რა თქმა უნდა, ეს უდავოდ ასეა. ბევრჯერ მითქვამს, რომ მარტინა ძალიან კარგი ჩოგბურთელია. არასოდეს არ შემხვედრია მეტოქე, რომელიც კორტს ისე კარგად გრძნობდეს, როგორც ჰინგისი. ასეთები, უბრალოდ, არ არსებობენ. მას შეიძლება ზოგზე ნაკლები ძალა ჰქონდეს, მაგრამ ესოდენ ეფექტურად კორტს არავინ იყენებს. არც ისეთი ახალგაზრდა ჩოგბურთელი შემხვედრია, რომელსაც სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ჰინგისის მსგავსი წარმატებისთვის მიეღწიოს.

● *როლან გაროსზე გამარჯვება თქვენ კიდევ ორიოდე წელიწადს თამაშის ხალისს მოგცემთ, თუ დიდების მწვერვალზე მყოფი გამოეთხოვებით ჩოგბურთს?*

– კარგი კითხვაა, რომელზეც ასე გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, პარიზში გამარჯვება გარკვეული ხნის განმავლობაში მემახსოვრება და სიამოვნებას მომანიჭებს, მაგრამ, როგორც ახსენეთ, სულაც არ ვაპირებ იმ ორიოდე წელიწადს კიდევ თამაშს.

● *ტურნირის დაწყებამდე განაცხადეთ, რომ ეს იყო თქვენი უკანასკნელი საფრანგეთის ღია პირველობა.*

– დიახ, ეს იყო ჩემი უკანასკნელი საფრანგეთის ღია პირველობა.

● *ამ შემთხვევაში აშშ-ს ღია პირველობა („ფლეშინგ მიდოუ“) იქნება თქვენი უკანასკნელი „დიდი მუზარადის“ ტურნირი თუ ავსტრალიის ღია პირველობა?*

– ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ პარიზში რომ უკანასკნელად ვითამაშე, ამას კიდევ ერთხელ ვადასტურებ.

● *ნახეთ, რომ მარტინა ტიროდა?*

– დიახ.

● *უიმბლდონის ფინალში იანა ნოვოტნასთან თამაშობდით. იანაც ტიროდა. თქვენ კი ოდესმე გიტირიათ?*

– დიახ, პარიზში გამარჯვების შემდეგ.

● *მაგრამ ეს ხომ სიხარულის ცრემლები იყო.*

– სხვა შემთხვევაშიც მიტირია, მართალია, ისე აშკარად არა. ახლა კი უიმბლდონს იმედის თვალით ვუყურებ.

აგასი უიმბლდონს უპირისპირდება



ანდრე აგასის „როლან გაროსში“ გამარჯვების უზომო სიხარული

განთქმული ჩოგბურთელი ანდრე აგასი, ახლა შეიძლება ითქვას, მეცხრე ცაზეა. ბოლო წლები მისთვის მეტად ცუდი გამოდგა. ჰოლივუდის მსახიობ ქალთან უიღბლო ქორწინების შემდეგ იგი, ოდესღაც მსოფლიოში უძლიერესი, კატასტროფულად იუარესებდა რეიტინგს, და აღმოჩნდა... 140-ე (!) ადგილზე. შარშან მან რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა, წლევანდელი „როლან გაროსის“ წინ მსოფლიოში მე-14 იყო, ახლა კი, საფრანგეთის დედაქალაქში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ უკვე მეოთხეა. აგასი უიმბლდონში გამარჯვებასა და მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში“ პირველ ადგილზე გადასვლას აპირებს, რაც ახლანდელ სიტუაციაში არც ისე უსაფუძვლო ჩანს. „როლან გაროსზე“ გამარჯვებისათვის მან 4 040 000 ფრანკი მიიღო.

აი ნაწყვეტები მისი პრეს-კონფერენციიდან

● *ფინალურ მატჩში ანდრეი მედვედევთან თქვენ პირველი ორი სეტი წააგეთ, მესამეშიც ერთხანს ცუდად გქონდათ საქმე. რას ფიქრობდით იმ მომენტში?*

— გულახდილად გეტყვით, შოკურ მდგომარეობაში ვიყავი. პრაქტიკულად გადავიტანე კიდეც დამარცხების მთელი სიმწარე. ისღა დამრჩენოდა, რომ როგორმე წონასწორობა ბოლომდე არ დამეკარგა, იმედი მჭონდა, უცბად რაღაც მოხდება. ამასთან, ისიც მესმოდა, რომ ერთგვარი შესაძლებლობები მაინც რჩება. შემდეგ კი აი რა მოხდა: უკეთ დავიწყე თამაში, მედვედევი კი განერვიულდა. მართალია, მოგებამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მედვედევი ჩემთვის ხელსაყრელ თამაშს დაიწყებდა.

● *შემდეგ რაღა მოხდება? გაქვთ რაიმე მიზანი, თუ რაც გეწადათ, ყველაფერს მიაღწიეთ?*

— არ ვიცი. წინ უიმბლდონია. ბოლო 25 წლის განმავლობაში ვერავინ მოახერხა ერთ სეზონში როლან გაროსიც მოეგო და უიმბლდონიც. ჩემი დაბრუნება ჩოგბურთში ამის შესაძლებლობას იძლევა.

● *ანდრეი მედვედევმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ გამარჯვების ღირსი იყავით და შეიძლება მსოფლიოში საუკეთესო ჩოგბურთელადაც ჩაგთვალონ, მიუხედავად იმისა, რომ პიტ სამპრასს „დიდი მუზარადის“ 11 ტურნირი აქვს მოგებული. თქვენც ასე თვლით?*

— იმ დონეს მივაღწიე, სანამდეც სულ ცოტა ჩოგბურთელი მივიდა. ამასთან, ისიც, რაც პიტმა გააკეთა, ასევე ერთეულების ხვედრია.

● *რას ფიქრობთ მომავალზე? მეტის მიღწევა შეგიძლიათ?*

— როგორც პარიზში გამარჯვებამ დაამტკიცა, შემიძლია სხვა დიდი ტურნირების მოგება.

● *რეიტინგში 140-ე ადგილამდე დაქვეითდით. რა იყო შემდგომი აღმავლობის ათვლის წერტილი?*

— ასეთი დაბალი ადგილით მაინცდამაინც შეცბუნებული არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ჩემი ცხოვრება სავსე იყო, როგორ უღირსადაც არ უნდა ვითამაშო. გადავწყვიტე: ან ჩოგბურთს უნდა დავუბრუნდე, ანდა, საერთოდ, თავი დავანებო თამაშს. ეს არა მარტო ჩემთვის, არამედ კიდევ უფრო ჩოგბურთისათვის იყო მნიშვნელოვანი. არც გადაწყვეტილების მიღება გამჭირვებია: სავსე ვიყავი ჩოგბურთით. ერთიღა რჩებოდა: ყველაფერი თავიდან დამეწყო.

● *როლან გაროსის წინ ნიძლავი რომ დაგედოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?*

— ასე მაფასებდნენ: 1:10. ისე რომ, ხომ მიხვდით, როგორი „ფავორიტიც“ ვიყავი. მაგრამ, როცა სერიოზულად ვაფასებდი გამარჯვებას 6 შესაძლო პრეტენდენტის შანსებს, ვფიქრობდი: „რატომ არ შეიძლება მეც მათ შორის ვიყო?“

● *მედვედევმა ბევრი ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ პატივს მცემთ, როგორც ჩოგბურთელს. თქვენ რაღას იტყოდით?*

— დიახ, იგი ჩოგბურთს დაუბრუნდა. მე მას ატპ-ს ერთ-ერთ საუკეთესო, ერთ-ერთ უცელაზე ნიჭიერ მოთამაშედ ვთვლი, რომელსაც ნებისმიერი ძლევა შეუძლია.

მარჩინა ჰინგისის ჯიბე კი შეთხელდება

მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი დაჯარიმდა 1500 დოლარით. ეს სასჯელი მას დაედო გერმანელ შტეფი გრაფთან „როლან გაროს-99“-ის ფინალურ მატჩში არასპორტული საქციელისათვის. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იტფ) ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ჰინგისმა სერიოზულად დაარღვია სპორტული ეთიკეტი, როცა კორტზე მეტოქის ნახევარზე გადავიდა, რათა ხაზისა და შეხვედრის მთავარ მსაჯებთან გაერკვია მათი სადავო გადაწყვეტილება.

იტფ-მ არ დაადასტურა ინგლისური გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაცია „ფიზიკური ინციდენტის“ შესახებ, რომელიც თითქოს მოხდა ჰინგისის მონაწილეობით WTA-ს ტურის წარმომადგენელთან ფინალისტების დაჯილდოების ცერემონიალზე.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



18 ივნისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია, კავკასია. „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ბმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის თასი. ნახევარფინალი: „დეპორტივო“ – „ატლეტიკო“ (13.20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.10), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“. გეგეგო ლატო (16.30), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ (17.15, 22.50), „ყველა დროის მატჩები“ (20.00), „მსოფლიო ფეხბურთი“ (0.35). ***EUROSPORT.*** „ფეხბურთი და ვარსკვლავთა ბედისწერა“ (14.00, 23.00, 4.00). მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.30, 16.00, 22.00,2.00).

19 ივნისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ბმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ (14.30, 19.40), „ყველა დროის მატჩები“ (17.00), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (19.15), რა არის და როგორია ქალთა ფეხბურთი (1.00), ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის კვირეული (14.45), ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური (20.00). ***ESPN.*** კალათბური. ნბა (4.30, 15.30, 16.00). ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (5.30, 14.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „ფეხბურთი და ვარსკვლავთა ბედისწერა“ (14.00, 23.00, 4.00), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.30, 17.00. 22.00, 3.00).

20 ივნისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (18.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30), კავკაია. „ვარსკვლავები“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები: აშშ (ნაკრები) – დანია (ნაკრები), 17.25 – ბრაზილია (ნაკრები) – მექსიკა (ნაკრები), 19.25 – ჩინეთი (ნაკრები – შვედეთი (ნაკრები), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“ (21.40), ესპანეთის ჩემპიონატი (21.55, 23.55). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ევროპის თასი. პარიზიდან (12.00, 18.15, 3.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.00, 13.30, 14.00, 22.00), ავტორბოლა. საერთაშორისო რალი (23.00, 1.00, 3.00).

პროსპორდი

თარაზულად: 5-11 — წარსულში ცნობილი ურუგვაელი მეკარე. 13-19. გერმანელი მცველი. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. 20-22 — ცნობილი რუსი სპორტული კომენტატორი. 28-29 — 60-იანი წლების ცნობილი არგენტინელი თავდამსხმელი. 33-36 — ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 42-45 — „იუვენტუსის“ ყოფილი თავდამსხმელი. 47-49 — „ინტერის“ და ჩილეს ნაკრების ფორვარდი. 50-51 — ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე. 52-53 — აღმოსავლური ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობის წარმომადგენელი. 54-56 — ჰადრაკის პარტიაში მუქარა მოწინააღმდეგის მეფეზე. 57-58 — ამერიკელი ჩოგბურთელი. 59-62 — „ფრაიბურგის“ ქართველი ლეგიონერი. 61-63 — რუსი თავდამსხმელი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი. 64-65 — იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. 69-71 — წარსულში გამოჩენილი რუსი მოთხილამურე ქალი. 74-75 — სპორტის სახეობა. 76-78 — „პარმას“ თავდამსხმელი. 77-79 — ლეგენდარული ესპანელი მეკარე. 80-83 — საქართველოს საფეხბურთო კლუბი. 82-85 — გამოჩენილი ფრანგი ველოსიპედოსი — სპრინტერი. 84-86 — ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი. 85-87 — „ვალენსიას“ რუმინელი ფეხბურთელი. 88-89 — წარსულში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი. 90-91 — არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი. 93-94 — ურუგვაელი ფორვარდი, მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი. 95-98 — იტალიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონი. 98-100 — სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა. 103-108 — ბოლონიის რუსი ლეგიონერი ფეხბურთელი, 105-108 — რუსი ნიჩბოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 106-107 — ცნობილი ფრანგი სპორტული ჟურნალისტი.

შვეულად: 1-59 — ფრანგი ჩოგბურთელი. 2-35 — — მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე. 3-106 — წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 4-108 — ცნობილი ქართველი აფროსანი. 5-55 — ამერიკელი მძლეოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 400 მეტრზე თარჯრბენში. 6-96 — ცნობილი ქართველი სპრინტერი ქალი. 7-31 — მძლეოსნური ინვენტარი. 8-39 — იტალიის საფეხბურთო კლუბი. 9-40 — მსოფლიოს ჩემპიონი ჰადრაკში ვაჟთა შორის 1935-37 წლებში. 10-34 — „მილანის“ თავდამსხმელი. 11-100 — ცნობილი ქართველი მესტენდური. 12-71 — ცნობილი ქართველი მოფარიკავე. 13-61 — „იუვენტუსის“ პრეზიდენტი. 14-43 — პოლ გასქოინის მეტსახელი. 15-44 — მოსკოვის „სპარტაკის“ და სსრკ ნაკრების ყოფილი კაპიტანი. 16-38 — 1964 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი. 17-45 — იაპონელი ტანმოვარჯიშე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მრავალჯერ. 18-65 — სპორტული ნავების შეჯიბრი. 21-48 — ბრაზილიელი ფორვარდი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. 23-60 — წარსულში გამოჩენილი პოლონელი ნახევარმცველი. 24-51 — ლეგენდარული უნგრელი მოკრივე. 25-73 — საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი, მსოფლიოს ჩემპიონი. 26-63 — საფრანგეთის ნაკრების მეკარე 80-იან წლებში. 27-92 — თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი 1967-75 წლებში. 30-97 . — „ვალიადოლიდის“ თავდამსხმელი. 31-68 — „პ.ს.ჟ.“-ს ნიგერიელი ფეხბურთელი. 32-98 — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი. 33-99 — ცნობილი სლოვაკი მწვრთნელი ფეხბურთში. 37-105 — „ფიორენტინას მცველი“. 41-70 — ესპანელი ჩოგბურთელი. 45-85 — საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. 52-104 — ძიუდოისტის სამოსი. 61-110 — ევროპის 1968 წლის ჩემპიონი ფეხბურთში. 66-109 — ფრანგული სპორტული გაზეთი. 67-96 — მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა. 72-102 — მსოფლიოს ჩემპიონი ჰადრაკში ვაჟთა შორის 1960-61 წლებში. 81-101 — წარსულში გამოჩენილი ფრანგი ჩოგბურთელი. 83-104 — პირველი იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში.

დიაგონალურად: 46-98 — 1969 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი. 61-105 — წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსპორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ლარსენი, 4. სატონი, 7. ელზენერი, 11. ადემარი, 12. სიუელი, 13. ეპლე, 16. კაზორაგი, 19. სიმიზი, 20. რაიციგერი, 22. ოდენსე, 23. კეისა, 25. რეკენი, 26. ზემარია, 29. შრიოფი, 31. სტამი, 32. რუჯერი, 33. ლაილი, 34. კრაიგერი, 36. ლოუ, 37. ბალერი, 39. ჯიჯი, 40. რეკდალი, 42. მელბი, 44. ოუენი, 45. გატი, 46. ჩინეორი, 47. ნაიკი, 48. ბრიტო, 49. არაი. **შვეულად:** 1. ლინეკერი, 2. რაული, 3. ნადი, 4. სკილაზი, 5. ტაიმი, 6. ნესტა, 8. ლალასი, 9. ემერიჰი, 10. ბუტი, 14. დიკანო, 15. როტერი, 17. რედნაპი, 18. განცი, 21. იორბარი, 23. კარპინი, 24. სერეზო, 26. იორკი, 28. ადაილტონი, 30. ინსი, 31. სოკერი, 35. ერანიო, 36. ლამა, 37. ბაიანო, 38. ფინიდი, 39. ჯიგია, 41. იერო, 43. ლიპი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდნახი)



a b c d e f g h

შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეd6! – 2. ეd5X. 1. ...cd 2. მe7X.
1. ...ეd7 2. ლd5X. 1. ...მe7 2. მd7X.
1. ...მf4 2. ლg1X. 1. ...ეd4 2. cdX.
1. ...cb+ 2. მe7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული ნოწორაია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე